



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

20 ივნისი 2024 წელი

N 18/36

ეგზ.: N 1

შპს „საქართველოს მელიორაცია“
01.01.2021 – 31.12.2022 წლების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	9
	1. შესავალი	10
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	10
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	10
	აუდიტის საგანი	10
	აუდიტის მასშტაბი	10
	აუდიტის კრიტერიუმები	11
	აუდიტის მიზანი	12
	აუდიტის მეთოდოლოგია	12
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	13
	2. აუდიტის მიგნებები	16
	2.1. კომპანიის ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმების დაგეგმვა და შესრულება	16
	2.2 შესყიდვები	22
	2.3 აქტივების მართვა	34
	2.4 კომპანიის მიერ გაწეული სერვისები - სპეციალური ტექნიკითა და ტუმბო-აგრეგატებით გაწეული მომსახურებები	39
	2.5 კომპანიის მიერ გაწეული სერვისები - მორწყვა, ტექნიკური წყლის მიწოდება და ჰიდროელექტროსადგურებისთვის წყლის მიწოდება	42
	დანართები	46
	საკონტაქტო ინფორმაცია	49

ტერმინები და შემოკლებები

კომპანია – შპს „საქართველოს მელიორაცია“.

ტენდერი – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ელექტრონული ტენდერი.

ჩაშლილი ტენდერი – ელექტრონული ტენდერი, რომელიც შეწყვეტილია, არ შედგა ან დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

პროცედურა – მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სპეციალური წესით განსაზღვრული ელექტრონული პროცედურა.

ეპმ – მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სპეციალური წესით განსაზღვრული გამარტივებული შესყიდვა – ერთ პირთან მოლაპარაკება.

შსს-ს მომსახურების სააგენტო – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

საჯარო რეესტრი – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სემეკ – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმების დაგეგმვა/შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაბამისობის აუდიტი
 აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

კომპანიის ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმების განხილვის, დამტკიცების და ანგარიშების ნაკლოვანებები

2021-2022 წლებში მოქმედი ბიუჯეტებისა და ბიზნესგეგმების პროექტები სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისად წილის მმართველს შესატანხმებლად წარედგინა წესდებითა და კომპანიის დირექტორის ბრძანებით დადგენილი ვადების დარღვევით.¹ ამასთანავე, კომპანიაში 2021-2022 წლებში მოქმედი ბიუჯეტები და ბიზნესგეგმები არ იყო დამტკიცებული წესდების შესაბამისად. ასევე, არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ პარტნიორის მიერ კომპანიის ბიზნესგეგმების შეთანხმების/მოწონების ფაქტს. ამასთანავე, არ შესრულდა სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსთვიანი და წლიური ანგარიშების სამეთვალყურეო საბჭოსა და წილის მმართველისთვის წარდგენის ვალდებულება, რის გამოც პარტნიორს არ მიეცა საკუთარი უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების საშუალება. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება აღნიშნული ანგარიშების არსებობის შესახებ.

კაპიტალური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ნაკლოვანებები

კომპანიამ 2021-2022 წლების ბიუჯეტებით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ განახორციელა, ხოლო ამავე წლებში განხორციელებული პროექტების დიდი ნაწილი ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ ყოფილა. კომპანიამ 2021-2022 წლებში კაპიტალური პროექტების მიმართ არ განახორციელა „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიით“ გათვალისწინებული შეფასება-პრიორიტეტიზაცია ჰიდროლოგიური, ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების მიხედვით, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა ყოფილიყო პროექტების სათანადოდ დაგეგმვისა და მათი წარმატებით განხორციელებისათვის.

პოლიტიკის დოკუმენტების ნაკლოვანებები

„საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიას“, რომელიც ამავე დოკუმენტის მიხედვით, უნდა ყოფილიყო 10 წლის განმავლობაში ირიგაციის განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტი, არ გააჩნდა სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში მოცემული უნდა ყოფილიყო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობები, განმახორციელებელი უწყებების მითითებით. სამოქმედო გეგმის არარსებობით დაირღვა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მოთხოვნები და რისკის ქვეშ დადგა სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

¹ კომპანიისგან მიღებული განმარტებით, ბიზნესგეგმების დაგვიანებით მომზადება-წარდგენა განაპირობა პანდემიის გამო თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე მუშაობამ.

საქართველოს მთავრობამ 2019 წელს დაამტკიცა „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“ და მისი შესაბამისი 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელთა საბაზისო მაჩვენებლების სათანადო განახლებაც „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების“ ამოცანის ნაწილში შესაბამისი პერიოდის დადგომის შემდეგ არ მომხდარა, რაც აღნიშნული დოკუმენტების ნაკლოვანებას წარმოადგენს

შესყიდვები

შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანება

სახანძრო სიგნალიზაციის სამონტაჟო სამუშაოებზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელებულია ცვლილებები და ღირებულება გაზრდილია ისეთი გარემოებების წარმოქმნის პირობებში, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო ტენდერის გამოცხადების დროსაც. აღნიშნული მიუთითებს შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებებზე.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ზოგადი მოთხოვნა

ექსკავატორით მომსახურებაზე გამოცხადებულ შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილმა ზოგადმა მოთხოვნებმა შესაძლებელია განაპირობა ტენდერების არშემდგარი სტატუსით დასრულება.

მნიშვნელოვნად განსხვავებული პირგასამტეხლოების ოდენობები

პირგასამტეხლოების განსაზღვრის პროცესში არ არის გათვალისწინებული შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება სხვადასხვა შემთხვევაში პირგასამტეხლოების მნიშვნელოვანი განსხვავებებით.

ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოუყენებლობა

ბეტონის შესყიდვაზე, შემოწმებული სამი ხელშეკრულების ფარგლებში, ვერ დასტურდება შემსყიდველის უფლებამოსილების – საქონლის გამოცდა მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით – განხორციელება.

კომპანიის მიერ არ ხორციელდება სპეციალური ტექნიკის საგარანტიო-ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული დეფექტური აქტების შედგენის მოთხოვნა, პრეისკურანტით დადგენილი მომსახურების ფარგლებში. ვინაიდან აღნიშნული მომსახურება თავისი შინაარსით წარმოადგენს გეგმურ მომსახურებას და არ არის დაკავშირებული რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში გასაწევ მომსახურებასთან და ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტებში აისახება თითოეული გაწეული მომსახურება, ასეთი აქტები არ წარმოადგენს აუცილებელ ვალდებულებას და მათი ხელშეკრულებებში ასახვა, ფაქტობრივად, ფორმალური ხასიათისაა.

მიღებული მომსახურების გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტი

ენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით, მიღება-ჩაბარების აქტების გარდა, წარმოდგენილი არ არის ასეთი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი სხვა რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება. შესაბამისად, ვერ დგინდება გაწეული მომსახურებისა და დადგენილი ვალდებულებების ურთიერთშესაბამისობა.

სავარაუდო ღირებულებების მნიშვნელოვანი ზრდა განმეორებით გამოცხადებულ ტენდერებში

სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ჩაშლილ ტენდერებთან მიმართებით, რიგ შემთხვევებში, განმეორებით გამოცხადებულ ტენდერებში მნიშვნელოვნად გაზრდილია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, რაც შესაძლოა მიუთითებდეს სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე.

პირგასამტეხლობის დაკისრებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები

კომპანიის მიერ კონტრაქტორებთან სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გაფორმებულ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს დარიცხვის მუხლი დეტალურად არ განსაზღვრავს ვადაგადაცილებული დღეების გაანგარიშების წესს. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი დავები კომპანიასა და კონტრაქტორებს შორის.

სატენდერო კომისიის არამართლზომიერი გადაწყვეტილებები

დიზელის საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვერ დასტურდებოდა ავტოგასამართი სადგურების ყველა რეგიონში არსებობა, კომისიის მიერ არ არის მოთხოვნილი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და იგი მიჩნეულია დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად, რაც მიუთითებს კომისიის არამართლზომიერ გადაწყვეტილებაზე.

საინჟინრო-საპროექტო მომსახურებაზე გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში, სატენდერო კომისიის მიერ მიღებულია მის მიერვე დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამო გადაწყვეტილება.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემზღუდავი მოთხოვნა

285,719 ლარის სავარაუდო ღირებულების ტუმბოების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული პროცედურით დადგენილია გარკვეულწილად შემზღუდავი მოთხოვნა. ასეთი სახის მოთხოვნების დაწესებამ შესაძლებელია განაპირობოს კონკურენციის შეზღუდვა, რაც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვის ღირებულებას.

შესყიდვების წინამოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სამშენებლო და/ან სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების დროს რიგი საკითხების გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის პრობლემატური საკითხი წარმოიქმნა უშუალოდ სამუშაოების წარმოების პროცესში, რაც მიუთითებს შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე.

ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიის მიერ დაგვიანებით და/ან საერთოდ არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე.

აქტივების მართვა-განკარგვა

ინვენტარიზაციებით გამოვლენილი დანაკლისები

კომპანიაში 2021-2022 წლებში არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც მიუთითებს საკანონმდებლო მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებაზე.

კომპანიის მიერ ჩატარებული ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის და სხვა საკომუნიკაციო ელექტრომოწყობილობების ინვენტარიზაციის შედეგებით, დანაკლისად მიჩნეული 335 ერთეული აქტივის ჩამოწერა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და კომპანიის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების (მხოლოდ ძირითადი საშუალება) ჩამოწერის მუდმივმოქმედ კომისიასთან შეუთანხმებლად. შპს „გრანტ თორნტონის“ მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 876 ერთეული აქტივის დანაკლისი. ამ შემთხვევაში მათი ჩამოწერა არ განხორციელებულა.

აქტივებზე, რომლებზეც არ იყო ცნობილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირები და რომლებიც საინვენტარიზაციო კომისიების მიერ მიჩნეულ იქნა დანაკლისად, შემდგომი სამართლებრივი რეაგირება არ მომხდარა.

მიუღებელი საიჯარო შემოსავალი

სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონებიდან შემოსავლების მიღებაზე არასათანადო ადმინისტრირების გამო, კომპანიას საიჯარო ქირის სახით გააჩნია 40,548 ლარის დებიტორული დავალიანება.

აქტივების რეგისტრაციის ხარვეზები

გამოვლინდა შეუსაბამოები კომპანიის ბალანსზე რიცხულ და სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულ ქონებებთან მიმართებით. კერძოდ, შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში დაფიქსირებული 390 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან, 34 ერთეული არ იძებნება კომპანიის რეესტრში, ხოლო კომპანიის ბალანსზე რიცხული 425 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან, 69 ერთეული არ ფიქსირდება შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ რეესტრში დაფიქსირებული 1,035 ერთეული უძრავი ქონებიდან, 62 ერთეული არ იძებნება კომპანიის რეესტრში, ხოლო კომპანიის რეესტრში დაფიქსირებული 983 ერთეული უძრავი ქონებიდან, 10 ერთეული არ იძებნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრში. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონების აღრიცხვის ნაკლოვანებებზე.

საწვავის ხარჯის მონიტორინგი

სპეცტექნიკის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე საწვავი ჩამოიწერება ნამუშევარი საათების მიხედვით, რისი აღრიცხვაც ხდება GPS მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამა ასევე აღრიცხავს ყოველდღიურ ინფორმაციას – საწვავის ნაშთის, საწვავის ჩასხმისა და ამოღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ GPS-ის საშუალებით მიღებული ინფორმაცია კომპანიაში ინახება მხოლოდ ორი თვის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება სპეცტექნიკის მიერ ნამუშევარი საათებისა და ჩამოწერილი საწვავის სისწორეზე.

სპეციალური ტექნიკითა და ტუმბო-აგრეგატებით გაწეულ მომსახურებებთან დაკავშირებული ხარვეზები

კომპანიის მიერ გაწეული სერვისები

სპეციალური ტექნიკით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 13 შემთხვევაში დადგენილია დაწესებული რეგულაციებისგან განსხვავებული ანგარიშსწორების პერიოდები, მათ შორის, 12 შემთხვევაში ასეთი შეღავათის მიმღებს წარმოადგენს ერთი და იგივე იურიდიული პირი.

ტუმბო-აგრეგატებით გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული 13 ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია დადგენილი რეგულაციების შეუსაბამოდ.

სპეცტექნიკით მომსახურების სამ შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელებულია ხელშეკრულებების გაფორმების თარიღებისათვის გაუქმებული ტარიფების მიხედვით, რის შედეგადაც კომპანიას მიღებული აქვს 1,197 ლარით ნაკლები შემოსავალი.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კონტრაქტორს ვალდებულების შეუსრულებლობისთვის 4,537 ლარის პირგასამტეხლო დაერიცხა 61 დღეზე, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვადაგადაცილება შეადგენდა 5 წლამდე პერიოდს.

მორწყვის გადასახადის ადმინისტრირების ნაკლოვანება

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბენეფიციარების სახელზე დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე საირიგაციო მომსახურების საფასურის გადახდა, შერჩეული 28 ერთეულიდან 18 შემთხვევაში, არ ხორციელდებოდა მომსახურების გაწევამდე, რამაც შესაძლებელია წარმოქმნას მომსახურებასთან დაკავშირებული თანხების მიუღებლობის და/ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოქმნის რისკები.

საწარმოო მიზნებისათვის წყლის მიწოდების მომსახურება

კომპანიას შემუშავებული არ აქვს სამელიორაციო სისტემიდან საწარმოო დანიშნულების წყლის მიწოდების სერვისის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია. ამასთანავე, ერთ შემთხვევაში წყლის მიწოდება ხორციელდება დადგენილ მინიმალურ საფასურზე ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

ჰიდროელექტროსადგურებისათვის წყლის მიწოდება

ჰიდროელექტროსადგურებისათვის წყლის მიწოდების მომსახურების ღირებულების დაანგარიშება, სხვადასხვა მომხმარებელთან მიმართებით, ხორციელდება განსხვავებული მიდგომებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიაში არ არის დამტკიცებული ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია, ვერ მივიღეთ რწმუნება განსხვავებული მეთოდების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და პარტნიორის უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს კომპანიის ბიუჯეტისა და წლიური ბიზნესგეგმის დამტკიცების პროცესის ფორმალიზება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის შპს „საქართველოს მელიორაციის“ წესდებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების გადაცემის თაობაზე“ 2012 წლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას.

რეკომენდაცია N2. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობას

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ვადაგადაცემული დღეების და შესაბამისი პირგასამტეხლოს გაანგარიშებისთვის, შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდი/მიდგომა სამართლიანობისა და მართლზომიერების პრინციპების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, რომ ხელშეკრულებებში დეტალურად გაიწეროს, თუ რომელი დოკუმენტაციის და მეთოდის საფუძველზე განხორციელდება შესრულებული სამუშაოების თარიღების დადასტურება და შესაბამისი პირგასამტეხლოს გაანგარიშება.

რეკომენდაცია N3. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობას

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, აქტივების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ურთიერთშესაბამისობაში მოიყვანოს უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ – შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს შპს „საქართველოს მელიორაციის“ აქტივების აღრიცხვის სისრულეს, სიზუსტეს და არსებობის დადასტურებას.

რეკომენდაცია N4. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობას.

სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების მიერ ნამუშევარი საათების და ჩამოწერილი საწვავის სისწორის დასადასტურებლად და შესაბამისად, დანერგილი კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შპს „საქართველოს მელიორაციამ“, ხარჯეფექტიანობის გათვალისწინებით, განიხილოს კონტროლის მექანიზმის დანერგვის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს GPS მონაცემების ხანგრძლივი/გონივრული ვადით შენახვას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2021-2022 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა შპს „საქართველოს მელიორაციის“ საქმიანობის შემდეგი მიმართულებები:

- ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმების დაგეგმვა/შესრულება;
- შესყიდვები;
- აქტივების მართვა-განკარგვა;
- კომპანიის მიერ გაწეული სერვისები;
- შრომის ანაზღაურება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2021-2022 წლების საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N629 დადგენილება პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N2 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს დადგენილება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის N464 დადგენილება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 21 მაისის N41 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სამელიორაციო მომსახურებისა და ტბორებისთვის წყლის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N80 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სამელიორაციო მომსახურებისა და ტბორებისთვის წყლის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის N24 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საწარმოო მიზნებისათვის წყლის მიწოდების ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 28 თებერვლის N18 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ჰიდროელექტროსადგურებთან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 იანვრის N2 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მფლობელობაში

არსებული მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატებით მომსახურების გაწევის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“;

- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 18 მარტის N46 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მფლობელობაში არსებული მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატებით მომსახურების ტარიფების გაწევისა და მომსახურების გაწევის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 15 მარტის N29 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მფლობელობაში არსებული სპეცტექნიკით მომსახურების გაწევის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 18 მარტის N45 ბრძანება „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მფლობელობაში არსებული სპეცტექნიკით მომსახურების ტარიფების დამტკიცებისა და მომსახურების გაწევის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- გამოკითხვა;
- შემოწმება;
- ხელახალი გაანგარიშება;
- ანალიტიკური პროცედურები;
- ინტერვიუები;
- ვიზუალური დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შპს „საქართველოს მელიორაცია“ შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (წილის მმართველი), გარდა წილის განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა, რასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (შემდგომში უფლებამონაცვლე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო), როგორც მესაკუთრესა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში უფლებამონაცვლე – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), როგორც მმართველ პირს შორის, 2012 წლის 23 მაისს გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის (შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის) მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მმართველ პირს, მესაკუთრისაგან მართვის უფლებით სახელმწიფო ქონება გადაეცა მისი არსებობის ვადით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამელიორაციო საქმიანობის განხორციელება. კომპანიის წესდების მიხედვით საქმიანობის მიზანია:

- კომპანიის კაპიტალში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციის, რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის, ტექნიკური ექსპლუატაციის და წყლის მართვის საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება, უზრუნველყოფა და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა;
- ხელშეკრულების საფუძველზე, სამელიორაციო სისტემების მომსახურების ზონაში მიწათმოსარგებლეთა პრიორიტეტული მომსახურება (სარწყავი წყლის მიწოდება, ჭარბი წყლების მოცილება) და სხვა წყალმომხმარებლებისთვის (ჰესები, ტბორები, სამრეწველო ობიექტები და სხვ.) სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებით წყლის მიწოდება;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის წყალსარგებლობის, წყლის მართვა-რეგულირების, უსაფრთხო ფუნქციონირების და გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების ღონისძიებების შემუშავება და უზრუნველყოფა;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებისა და წყალსარგებლობის საფასურის განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. მომსახურების ტარიფების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში;
- წყალსარგებლობის წესების დაცვის კონტროლი კომპეტენციის ფარგლებში.

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- წილის მმართველი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- სამეთვალყურეო საბჭო – შპს „საქართველოს მელიორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს 2019 წლის 22 მაისის N1198 განკარგულებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სამი წევრით. სააუდიტო პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოს

წევრებს წარმოადგენდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 ივნისის N2-569 და 2022 წლის 20 ივნისის N91-კ ბრძანებებით დანიშნული პირები;

- გენერალური დირექტორი – კომპანიის გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს წილის მმართველი.

გენერალურ დირექტორს ექვემდებარება ოთხი დირექტორი, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორისა და დირექტორების საკურატორო ერთეულები განსაზღვრულია შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მმართველ რგოლს წარმოადგენდნენ გენერალური, კორპორაციული, ფინანსური, ტექნიკური და ექსპლუატაციის დირექტორები.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N132 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, კომპანიის პირველადი სტრუქტურული ერთეულებია:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;
- საექსპლუატაციო ღონისძიებების დეპარტამენტი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- კომერციის დეპარტამენტი;
- წყალმომხმარებელთა ინსპექტირების სამსახური;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ქონების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი;
- ფინანსური დეპარტამენტი;
- შესყიდვების დეპარტამენტი;
- პროექტების დაგეგმვისა და შეფასების დეპარტამენტი;
- შრომის უსაფრთხოების სამსახური;
- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობის სამსახური.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია რეგიონულ დონეზე წარმოდგენილია ოთხი სამსახურითა და 20 სერვისცენტრით, რომლებიც, თავის მხრივ, შედიან საექსპლუატაციო ღონისძიებების დეპარტამენტში.

კომპანიის საკუთარმა შემოსავლებმა 2021 და 2022 წლებში, შესაბამისად, შეადგინა 5,856,000 და 6,274,000 ლარი, რაც საკმარისი არ არის ყოველწლიური ხარჯების დასაფინანსებლად.² აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველწლიურად საჭიროა სახელმწიფო კაპიტალური ტრანსფერების და სუბსიდიების განხორციელება³ (იხ. ცხრილი N1 და ცხრილი N2 კომპანიის მიერ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების და საკუთარი შემოსავლების შესახებ).

² შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება და მასზე დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნა.

³ კაპიტალური ტრანსფერები - სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 31 06 01); სუბსიდიები - სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 31 06 02).

ცხრილი N1. შპს „საქართველოს მელიორაციის“ საბიუჯეტო დაფინანსება

კოდი	2021		2022		2021-2022	
	ასიგნება	გადახდა	ასიგნება	გადახდა	ასიგნება	გადახდა
31 06 01	26,550,000	26,550,000	36,000,000	36,000,000	62,550,000	62,550,000
31 06 02	24,175,000	24,175,000	26,000,000	26,000,000	50,175,000	50,175,000
სულ:	50,725,000	50,725,000	62,000,000	62,000,000	112,725,000	112,725,000

შპს „საქართველოს მელიორაციის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით,⁴ კომპანიის ზარალი 2021 წელს შეადგენდა 13,695,000 ლარს, ხოლო 2022 წელს – 39,363,000 ლარს⁵ (იხ. დანართი N1. სრული შემოსავლის ანგარიშგება და დანართი N2. სხვა მოგება (ნეტო)).

ცხრილი N2. შპს „საქართველოს მელიორაციის“ საოპერაციო შემოსავლები

მომსახურების სახეები	2022	2021
სამელიორაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	4,875,000	4,438,000
პესებზე მიწოდებული წყლის რესურსით მიღებული შემოსავალი	1,067,000	1,047,000
წყლის მიწოდების მომსახურებით მიღებული შემოსავალი	319,000	351,000
ტუმბო-აგრეგატებით და სატუმბო სადგურით მომსახურება	13,000	20,000
	6,274,000	5,856,000

კომპანიის შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა აგრეთვე მის მფლობელობაში არსებული სპეციალური ტექნიკით მომსახურების გაწევა, საიდან მიღებული შემოსავლებიც ასახულია „სხვა მოგება-ზარალის“ მუხლში, როგორც საიჯარო შემოსავალი. სულ, აუდიტის პერიოდში გაწეული მომსახურების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენს 121,221 ლარს, მათ შორის, 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში – 15,983 ლარს და 2022 წელს – 105,238 ლარს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კომპანია წარმოადგენს შემსყიდველ ორგანიზაციას და შესაბამისად, მის მიერ ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვები. საქონლისა და მომსახურების გარკვეული სახეობების შესყიდვისას, კომპანია უფლებამოსილია შესყიდვები ასევე განახორციელოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სპეციალური წესით.⁶ ამ წესის მიზანია განსახორციელებელი მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების პროცედურების გამარტივება და კომპანიის მიზნების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა. კომპანიის მიერ წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით, აუდიტის პერიოდში მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა შეადგენდა 1,416 ერთეულს (შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია: იხ. დანართი N3 – აუდიტის პერიოდში მოქმედი ხელშეკრულებები და დანართი N4 – აუდიტის პერიოდში ჩაშლილი ტენდერები/პროცედურები).

⁴ შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - 24.07.2023.

⁵ ზარალის ზრდა უკავშირდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასებას. 2022 წელს ძირითადი საშუალებების ჩამოფასებამ შეადგინა 27,996 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს - 5,645 ათასი ლარი.

⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმის შესაბამისად.

2. აუდიტის მიგნებები

2.1. კომპანიის ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმების დაგეგმვა და შესრულება

2.1.1 კომპანიის ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმების განხილვის, დამტკიცების და ანგარიშგების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს, წილის განკარგავსთან დაკავშირებული უფლებამოსილებების გარდა, ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (წილის მმართველი).⁷ კომპანიაში წილის მართვის უფლებამოსილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან 2012 წლის ხელშეკრულების საფუძველზე.⁸ ხელშეკრულების მიხედვით,⁹ წილის მმართველი ვალდებული იყო განეხორციელებინა პარტნიორის უფლება-მოვალეობები საზოგადოების წესდების, ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის გენერალური დირექტორი ვალდებულია შეიმუშაოს და სამეთვალყურეო საბჭოს შესატანხმებლად წარუდგინოს კომპანიის ყოველწლიური სამოქმედო (ბიზნეს) გეგმა სამეურნეო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.¹⁰ სამეთვალყურეო საბჭო თანხმობას აძლევს გენერალურ დირექტორს ბიზნესგეგმის წილის მმართველისთვის დასამტკიცებლად წარდგენაზე.¹¹

ბიზნესგეგმის პროექტის შედგენის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განსაზღვრულია გენერალური დირექტორის 2020 წლის ბრძანებით.¹² კერძოდ, კომპანიის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით განისაზღვრა ფინანსური დეპარტამენტისთვის წარსადგენი ინფორმაციის შინაარსი და წარდგენის ვადა,¹³ ხოლო ფინანსურ დეპარტამენტს დაევალა კომპანიის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ბიზნესგეგმის მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.

კომპანიის ბიუჯეტის და წლიური ბიზნესგეგმის პროექტის განხილვა და დამტკიცება წილის მმართველის უფლებამოსილებაა. წილის მმართველი უნდა ამტკიცებდეს ასევე კომპანიის წლიურ შედეგებს (ანგარიშებს).¹⁴ კომპანიის წესდებით დადგენილია ასევე გენერალური დირექტორის მიერ კომპანიის სამოქმედო გეგმის შესრულების ექსთენიანი და წლიური ანგარიშების სამეთვალყურეო საბჭოსა და წილის მმართველისთვის

⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 ივნისის N2-548 ბრძანებით დამტკიცებული წესდების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸ 2012 წლის 23 მაისის ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების გადაცემის თაობაზე.

⁹ ხელშეკრულების მუხლი 4.1.

¹⁰ კომპანიის წესდების მე-7 მუხლის მე-4 და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტები.

¹¹ კომპანიის წესდების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი.

¹² კომპანიის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის N 111 ბრძანება.

¹³ არაუგვიანეს 1 ნოემბრისა.

¹⁴ კომპანიის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

წარდგენის ვალდებულება.¹⁵

გარემოება

შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2021-2023 წლების ბიზნესგეგმის პროექტის მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა განხორციელდა წესდებით დადგენილი ვადების დარღვევით. კერძოდ, ბიზნესგეგმის პროექტი სამეთვალყურეო საბჭოს წარედგინა 7 თვის დაგვიანებით, 2021 წლის 1 ივლისს, წილის მმართველს კი გადაეგზავნა 2021 წლის 22 ივლისს. კომპანიის ბიუჯეტისა და ბიზნესგეგმის პროექტის მომზადება/წარდგენისთვის დადგენილი ვადები ასევე დაირღვა 2022-2024 წლების ბიზნესგეგმის პროექტის მომზადებისას. კერძოდ, ბიზნესგეგმის პროექტი სამეთვალყურეო საბჭოს წარედგინა დაახლოებით 2 თვის დაგვიანებით, 2022 წლის 8 თებერვალს, ხოლო წილის მმართველს გადაეგზავნა 28 თებერვალს.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კომპანიის მიერ წარდგენილი ბიზნესგეგმების დამტკიცების ფაქტს.¹⁶ აუდიტის ობიექტმა ასევე ვერ წარმოადგინა კომპანიის სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები, რომლებიც წესდებით განსაზღვრული პერიოდულობით გენერალურ დირექტორს უნდა წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოსა და წილის მმართველისთვის.

დასკვნა

2021-2022 წლებში მოქმედი ბიუჯეტებისა და ბიზნესგეგმების პროექტები სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისად წილის მმართველს შესათანხმებლად წარედგინა წესდებითა და კომპანიის დირექტორის ბრძანებით დადგენილი ვადების დარღვევით.¹⁷ ამასთანავე, კომპანიაში 2021-2022 წლებში მოქმედი ბიუჯეტები და ბიზნესგეგმები არ იყო დამტკიცებული წესდების შესაბამისად. ასევე, არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ პარტნიორის მიერ კომპანიის ბიზნესგეგმების შეთანხმების/მოწონების ფაქტს. ამასთანავე, არ შესრულდა სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსთვიანი და წლიური ანგარიშების სამეთვალყურეო საბჭოსა და წილის მმართველისთვის წარდგენის ვალდებულება, რის გამოც პარტნიორს არ მიეცა საკუთარი უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების საშუალება. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება აღნიშნული ანგარიშების არსებობის შესახებ.

რეკომენდაცია N1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და პარტნიორის უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს კომპანიის ბიუჯეტისა და წლიური ბიზნესგეგმის დამტკიცების პროცესის ფორმალიზება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის შპს „საქართველოს მელიორაციის“ წესდებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების

¹⁵ კომპანიის წესდების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2022 წლის 24 მარტის წერილში მოცემული შენიშვნების საფუძველზე კომპანიამ განახორციელა 2022-2024 წლების ბიზნესგეგმის კორექტირება.

¹⁷ კომპანიისგან მიღებული განმარტებით, ბიზნესგეგმების დაგვიანებით მომზადება-წარდგენა განაპირობა პანდემიის გამო თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე მუშაობამ.

გადაცემის თაობაზე“ 2012 წლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას.

2.1.2 კაპიტალური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია. კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას.¹⁸

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მიხედვით,¹⁹ სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული პროექტის და ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

„საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიის“ თანახმად, კომპანიაში უნდა შექმნილიყო სპეციალური ერთეული, რომელიც განხორციელებდა 100-ზე მეტი პოტენციური პროექტის შეფასება-პრიორიტეტიზაციას ჰიდროლოგიური, ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების მიხედვით. დოკუმენტის მიხედვით, პოტენციურად სარეზილიენტაციო სისტემებს ჯერ უნდა გაეცლინათ სკრინინგი სამი პირველადი კრიტერიუმის მიხედვით, რომელთა გავლის შემთხვევაშიც ჩაუტარდებოდათ ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის ანალიზი. სისტემები, რომლებიც დააკმაყოფილებდა ხუთ კრიტერიუმს შეფასდებოდა სამი ფაქტორის მიხედვით მნიშვნელობის კოეფიციენტის გამოყენებით ინვესტიციის პრიორიტეტულობის დასადგენად.

კომპანიის დებულების თანახმად, პროექტების მართვის დეპარტამენტის შემადგენლობაშია პროექტების დაგეგმვის და სკრინინგის სამსახური²⁰ და ასევე წინასაპროექტო კვლევისა და პროექტების შეფასების სამსახური. 2021 წლის 21 მაისამდე წინასაპროექტო კვლევის და სკრინინგის სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნებოდა:

- დეპარტამენტის სამსახურებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაგეგმად საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციების მოპოვება, წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარება, ობიექტების ადგილზე დათვალიერება, მათი არსებული მდგომარეობისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შეფასება-ანალიზი;

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N 385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N 385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2.

²⁰ 2021 წლის 21 მაისამდე პროექტების მართვის დეპარტამენტს ეწოდებოდა სამელიორაციო პროექტების დაგეგმვის და მართვის დეპარტამენტი, რომელიც შედგებოდა შემდეგი სამსახურებისგან: პროექტების დაგეგმვის სამსახური, პროექტირების სამსახური და წინასაპროექტო კვლევის და სკრინინგის სამსახური. კომპანიის გენერალური დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N 132 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, კვლავ შეცვალა დეპარტამენტს დასახელება და ეწოდა პროექტების დაგეგმვისა და შეფასების დეპარტამენტი.

გარემოება

- დეპარტამენტის სამსახურებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პრიორიტეტულობასა და მშენებლობის რიგითობაზე გადაწყვეტილებების მისაღებად, ობიექტების სკრინინგის და რანჟირების განხორციელება. 2021 წლის 21 მაისიდან, ახალი დებულების მიხედვით, აღნიშნული ფუნქცია უნდა განხორციელებინა პროექტების დაგეგმვის და სკრინინგის სამსახურს კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით. პირველი ფუნქცია კი ახალი დებულებით, დაევალა წინასაპროექტო კვლევისა და პროექტების შეფასების სამსახურს.

2021 წლის კაპიტალური ბიუჯეტის დანართის მიხედვით, „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენის“ კაპიტალური პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო 42 პროექტის განხორციელება. 2021 წლის კაპიტალური პროექტების შესრულების ანგარიშში დაგეგმილი 42 პროექტიდან 20 პროექტზე არანაირი ინფორმაცია არ არის ასახული. აუდიტის ობიექტის განმარტებით, 20 პროექტზე სამშენებლო სამუშაოები 2021 წელს არ დაწყებულა, რის მიზეზადაც კომპანიამ რიგ შემთხვევებში დაასახელა 2021 წლის ბიუჯეტის შემცირება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერების წარუმატებლად დამთავრება, პროექტირების დროულად განუხორციელებლობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის კაპიტალური პროექტების შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს დასრულდა 39 ისეთი პროექტი, რომელიც კაპიტალური ბიუჯეტის დანართში არ იყო მოცემული. ამასთანავე, ზემოაღნიშნული შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა 13 ისეთი პროექტი, რომელიც არ ყოფილა 2021 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი.

დაგეგმვა-განხორციელების პრობლემებია ასევე 2022 წელს. კერძოდ, 2022 წლის კაპიტალური ბიუჯეტის დანართის მიხედვით, „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენის“ კაპიტალური პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო 32 პროექტის განხორციელება. 2022 წლის კაპიტალური პროექტების შესრულების ანგარიშში 32 პროექტიდან 17 პროექტის შესახებ ინფორმაცია არ გხვდება.²¹ დაგეგმილი 32 პროექტიდან 4 პროექტი შეწყდა, ხოლო 2022 წელს დასრულდა 35 ისეთი პროექტი, რომელიც დაგეგმილი არ ყოფილა. ამასთანავე, ზემოაღნიშნული შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა 26 ისეთი პროექტი, რომელიც არ იყო დაგეგმილი. საყურადღებოა, რომ საბიუჯეტო განაცხადით, კაპიტალური პროექტების შესახებ ინფორმაცია წარდგენილია 48,000,000 ლარზე.²² ფაქტობრივად, წლიური საბიუჯეტო კანონით განისაზღვრა 38,000,000 ლარის ასიგნება. შემცირებული მოცულობით დამტკიცებული ასიგნების მიუხედავად, კაპიტალური ბიუჯეტის დანართში აისახა 48,000,000 ლარის ფარგლებში გაწერილი პროექტების შესახებ ინფორმაცია.²³ შესაბამისად, ზემოთ მოცემული

²¹ კომპანია აღნიშნულის მიზეზად 2021 წლის მსგავსად ძირითადად უთითებს მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერების წარუმატებლად დასრულებას, საპროექტო დოკუმენტაციის დროულად შეუდგენლობას, ხელშეკრულებების შეწყვეტას და ა.შ.

²² შპს „საქართველოს მელიორაციამ“ 2021 წლის 9 აგვისტოს №გ-2385 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განაცხადი, რომელშიც ქვეპროგრამის - „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა“ - ბიუჯეტი შეადგენდა 48,0 მლნ ლარს.

²³ 2021 წლის 20 დეკემბრის N13417/01 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შპს „საქართველოს მელიორაციას“ აცნობა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებების შესახებ, სადაც ქვეპროგრამის „სამელიორაციო სისტემების

შედარება გაკეთებულია წლიური საბიუჯეტო კანონის დანართში ასახულ მონაცემებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ პროექტებს არ ჰქონდათ გავლილი „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიით“ გათვალისწინებული შეფასება-პრიორიტეტიზაციის პროცესი. აღნიშნულ პროექტებზე არც კომპანიის დებულებით დადგენილი სკრინინგისა და რანჟირების პროცესი განხორციელებულა მათი პრიორიტეტულობასა და მშენებლობის რიგითობაზე გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნულის მიზეზს კომპანიის განმარტებით წარმოადგენდა შესაბამისი მეთოდოლოგიის არარსებობა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ივლისში კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით²⁴ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა საირიგაციო სისტემების სკრინინგის მეთოდოლოგიის პრინციპების საბოლოო ვერსიის წარმოდგენა 2021 წლის 1 ნოემბრამდე, თუმცა აღნიშნულმა ვადამ 2021-2022 წლებში გენერალური დირექტორის ბრძანებებით გადაიწია სამჯერ და საბოლოო ვერსიის წარმოდგენის ვადად სამუშაო ჯგუფს განესაზღვრა 2023 წლის 1 მაისი. კომპანიის განმარტებით, 2021-2022 წლებში კაპიტალურ პროექტებს არ გაუვლიათ არც სტრატეგიით გათვალისწინებული შეფასება-პრიორიტეტიზაციის პროცესი და არც კომპანიის დებულებით დადგენილი სკრინინგი შესაბამისი კრიტერიუმის არარსებობის გამო.

დასკვნა

კომპანიამ 2021-2022 წლების ბიუჯეტებით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ განახორციელა, ხოლო ამავე წლებში განხორციელებული პროექტების დიდი ნაწილი ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ ყოფილა. კომპანიამ 2021-2022 წლებში კაპიტალური პროექტების მიმართ არ განახორციელა „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიით“ გათვალისწინებული შეფასება-პრიორიტეტიზაცია ჰიდროლოგიური, ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების მიხედვით, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა ყოფილიყო პროექტების სათანადოდ დაგეგმვისა და მათი წარმატებით განხორციელებისათვის.

2.1.3 პოლიტიკის დოკუმენტების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მიხედვით,²⁵ პოლიტიკის დაგეგმვა სახელმწიფო დონეზე წარმოადგენს უმთავრესად საქართველოს მთავრობის კომპეტენციას. ამასთანავე, კონკრეტული უწყებები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად შეიმუშაონ სექტორული და ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. მულტისექტორული/სექტორული სტრატეგია არის ცალკეული სფეროების განვითარების, საზოგადოებრივი სერვისებისა და პროდუქტების მიწოდების გაუმჯობესებისთვის შემუშავებული პოლიტიკა, რომლის განხორციელებისათვის იქმნება ოპერატიული დოკუმენტი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში გაწერილი უნდა იყოს პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი აქტივობები, რომელთა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს

რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა“ ფარგლებში გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 38,0 მლნ ლარი, თუმცა კანონში დარჩა ის კაპიტალური სარეაბილიტაციო ობიექტები და ინდიკატორები, რაც კომპანიის მხრიდან 48,0 მლნ ლარზე იყო წარდგენილი სამინისტროში.

²⁴ კომპანიის გენერალური დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 100 ბრძანება.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N629 დადგენილება პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის - „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე.

სტრატეგიაში განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს შესრულების ინდიკატორებს საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების მითითებით. საბაზისო მაჩვენებელი არის ინდიკატორის საწყისი მდგომარეობა პოლიტიკის დოკუმენტითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაწყებამდე.

გარემოება

„საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია“

„საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია“ მომზადებულია წყლის პარტნიორობის პროგრამისა და მსოფლიო ბანკის „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის დაფინანსებით. სტრატეგიის მიხედვით, რეფორმის შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საჭირო სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავება, სისტემების ექსპლუატაციის გეგმები და სახელმძღვანელო პრინციპები, პოტენციალის განვითარება, რომელიც საჭირო იყო ახალი პროცედურების და პრაქტიკის ეფექტიანად განსახორციელებლად. არსებული ინფორმაციით, სამოქმედო გეგმა არ შემუშავებულა.

სტრატეგიის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტი უნდა ყოფილიყო 10 წლის განმავლობაში ირიგაციის განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტი. სტრატეგია ითვალისწინებდა მწყობრიდან გამოსული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, მონაცემებზე დაფუძნებული, პროფესიული და ფართო მონაწილეობაზე დამყარებული თანამედროვე ირიგაციის მართვის პოტენციალის განვითარებას. დოკუმენტი ასევე მოიცავდა ირიგაციის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებულ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს: რეაბილიტაციის პროექტების შერჩევა, მაგისტრალურ და ადგილობრივ დონეებზე სისტემების მართვა, საირიგაციო სისტემების ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯების დაფინანსება, საირიგაციო მომსახურების ხარისხზე ზედამხედველობა. სტრატეგიის ძირითად ღონისძიებებზე პასუხისმგებელ მხარეებად შპს „საქართველოს მელიორაციის“ გარდა განისაზღვრა: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სემეკი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი. სტრატეგიაში ჩამოთვლილი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი აუდიტის პერიოდში არ იყო დასრულებული.²⁶

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021 – 2027 წლების სტრატეგია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 2665 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია და აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისი 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.²⁷ სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობისა და საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიის განახლების მიზნით, საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების შემუშავებისთვის, ასევე სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება-განახლებისთვის 2021 წელს, საქართველოს

²⁶ კერძოდ, წარმოდგენილი ინფორმაციით, შპს „საქართველოს მელიორაცია“ პასუხისმგებელი იყო 10 ქმედების განხორციელებაზე, საიდანაც ოთხი ქმედება მიმდინარე პერიოდისთვის შეუსრულებულია, ერთი - გაურკვეველია, ვინაიდან კომპანიის განმარტებით, ფერმერებისთვის ფინანსური დახმარების მექანიზმის შემუშავება არ წარმოადგენს მის კომპეტენციას.

²⁷ მთავრობის განკარგულება ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

მთავრობის დადგენილებით²⁸ შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

სამოქმედო გეგმაში სტრატეგიით გათვალისწინებული „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების“ ამოცანის შესასრულებლად საჭირო ოთხ აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად წარმოადგენდა შპს „საქართველოს მელიორაცია“.

აღნიშნული დოკუმენტები საქართველოს მთავრობას „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების“ ამოცანის ნაწილში არ განუახლებია. კერძოდ, სტრატეგიაში კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების მიზნის²⁹ შესრულების ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლებად აღებულია, 2018 წლის მონაცემები. ასევე, წყალუზრუნველყოფილი და დაშრობილი მიწის ფართობები 2018 წლის მდგომარეობით არის მოცემული.

ამასთანავე, არ არის განახლებული 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის საბაზისო მაჩვენებლები. კერძოდ, „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების“ ამოცანის ოთხი აქტივობიდან, ორი აქტივობის შესრულების ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი მოცემულია 2018 წლის მდგომარეობით, ერთი აქტივობის საბაზისო მაჩვენებელი – 2015 წლის მდგომარეობით, ხოლო ერთი – 2019 წლის მდგომარეობით.

დასკვნა

„საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიას“, რომელიც ამავე დოკუმენტის მიხედვით, უნდა ყოფილიყო 10 წლის განმავლობაში ირიგაციის განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტი, არ გააჩნდა სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში მოცემული უნდა ყოფილიყო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობები, განმახორციელებელი უწყებების მითითებით. სამოქმედო გეგმის არარსებობით დაირღვა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მოთხოვნები და რისკის ქვეშ დადგა სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

საქართველოს მთავრობამ 2019 წელს დაამტკიცა „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“ და მისი შესაბამისი 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელთა საბაზისო მაჩვენებლების სათანადო განახლებაც „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების“ ამოცანის ნაწილში შესაბამისი პერიოდის დადგომის შემდეგ არ მომხდარა, რაც აღნიშნული დოკუმენტების ნაკლოვანებას წარმოადგენს.

2.2 შესყიდვები

2.2.1 შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისთვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

²⁸ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 თებერვლის N62 დადგენილება.

²⁹ აღნიშნული მიზნის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება.

პირობები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.³⁰ მითითებული ნორმის შესაბამისად, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ.³¹ ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა, არაუმეტეს 10%-ისა.³²

გარემოება

კომპანიის კუთვნილ შენობებში სახანძრო სიგნალიზაციის სამონტაჟო სამუშაოებზე, 2022 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების³³ ღირებულება, რომელიც შეადგენდა 60,123 ლარს, გაზრდილია 65,404 ლარამდე. ღირებულების გაზრდის საფუძველს წარმოადგენდა, შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, კომპანიის კუთვნილი ერთ-ერთი ობიექტის³⁴ დამატება. აღნიშნული ობიექტი, ტენდერის გამოცხადების დროსაც იყო კომპანიის მფლობელობაში და რაიმე აშკარად შეცვლილი გარემოების დადგომის ფაქტი, რაც გათვალისწინებული ვერ იქნებოდა ტენდერის გამოცხადებისას, ვერ დასტურდება.

დასკვნა

სახანძრო სიგნალიზაციის სამონტაჟო სამუშაოებზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელებულია ცვლილებები და ღირებულება გაზრდილია ისეთი გარემოებების წარმოქმნის პირობებში, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო ტენდერის გამოცხადების დროსაც. აღნიშნული მიუთითებს შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებებზე.

2.2.2 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ზოგადი მოთხოვნა

გარემოება

კრიტერიუმი: სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების სრულ აღწერას.³⁵

ერთი ერთეული ექსკავატორის დაქირავების მომსახურებაზე, 2021 წლის 18 და 25 ივნისს გამოცხადებული ტენდერები³⁶ არ შედგა. სატენდერო დოკუმენტაციების შესაბამისად, ექსკავატორით უნდა განხორციელებულიყო სამელიორაციო დანიშნულების არხების წმენდითი სამუშაოები. მომსახურების გაწევის ადგილს, შემსყიდველის მითითების შესაბამისად, წარმოადგენდა თელავი-გურჯაანი-სიღნაღი-დედოფლისწყარო. ექსკავატორზე ოპერატორის მომსახურებას, ტექნიკის ტრანსპორტირებას და საწვავის ხარჯებს უზრუნველყოფდა მიმწოდებელი. აღსანიშნავია, რომ დადგენილი მოთხოვნები ზოგადი ხასიათისაა. კერძოდ, არ არის განსაზღვრული მომსახურების გაწევის

³⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21, პუნქტი 5.

³¹ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მუხლი 398.

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 36, პუნქტი 3.

³³ NAT220015647. ხელშეკრულება N1-452/22.

³⁴ ქალაქ გურჯაანში, ქვემო ალაზნის სერვისცენტრის ოფისი.

³⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 12¹, პუნქტი 5, „ე“ ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 17, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

³⁶ 18.06.2021 - GEO210000340; 25.06.2021 - GEO210000357. ორივე ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 15,000 ლარს.

გრაფიკები დისლოკაციების მიხედვით და გასაწევი მომსახურების მოცულობა – ექსკავატორის სამუშაო საათები და/ან სხვა, რაც პოტენციურ მიმწოდებლებს მისცემდა, მათ მიერ გასაწევი ხარჯებისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის მიზანშეწონილობის განსაზღვრის მეტ შესაძლებლობას.

დასკვნა

ექსკავატორით მომსახურებაზე გამოცხადებულ შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილმა ზოგადმა მოთხოვნებმა შესაძლებელია განაპირობა ტენდერების სტატუსით – „არ შედგა“ დასრულება.

2.2.3 მნიშვნელოვნად განსხვავებული პირგასამტეხლოების ოდენობები

კრიტერიუმი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.³⁷ არაპროპორციულად მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობა, ცალკეულ შემთხვევაში, იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას მიმწოდებლების მხრიდან, რასაც, ხშირ შემთხვევაში, იზიარებს სასამართლო. კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ არაპროპორციულად მაღალი პირგასამტეხლო მცირდება გონივრულ ოდენობამდე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია მყარი სასამართლო პრაქტიკა.³⁸

გარემოება

კომპანიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ასე მაგალითად, საპროექტო/საკონსულტაციო მომსახურებებზე, სპეციალური წესით გაფორმებული შვიდი ხელშეკრულების შედარებით გამოვლინდა, რომ ორ შემთხვევაში, მომწოდებლებისათვის დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობები მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენი ხუთი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობებს, კერძოდ:

- შპს „ენ.ემ.ჯი“-ისა და შპს „გროს ენერჯი ჯგუფთან“, 2020 წლის 27 ნოემბერსა და 2021 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებების³⁹ მიხედვით, პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილების პირველი 15 დღის განმავლობაში შეადგენდა ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 30 ლარისა დღეში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ კი – ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. აღსანიშნავია, რომ შპს „ენ.ემ.ჯი“-სთან გაფორმებული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 20,000 ლარს, შპს „გროს ენერჯი ჯგუფთან“ – 27,140 ლარს. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა, შეადგენდა 30 და 150 ლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, პერიოდების მიხედვით.
- სს „საქწყალპროექტთან“ გაფორმებული ოთხი ხელშეკრულების მიხედვით: ერთ შემთხვევაში⁴⁰ დადგენილია 0.1% - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; ორ შემთხვევაში⁴¹ – 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არანაკლებ 10

³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 417.

³⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე (<http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=d70fffe0-7a93-41bc-9984-8ead10f7114b>).

³⁹ NN 2-686/20 და 2-284/21.

⁴⁰ 25.08.2020, N 2-500/20 - 62,953 ლარი.

⁴¹ 07.10.2022, N 2-502/22 - 6,500 ლარი და 01.11.2022, N 2-539/22 - 20,000 ლარი.

ლარისა; მეოთხე შემთხვევაში⁴² კი – 0.02% ვადაგადაცილების პირველი 15 დღის განმავლობაში, შემდგომ პერიოდზე – 0.05%.

- დიდ ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებულ კომპანია Arup International Projects-თან გაფორმებული ხელშეკრულებით,⁴³ პირგასამტეხლო შეადგენდა ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ორ შემთხვევას, სადაც დადგენილია შედარებით დიდი ოდენობით პირგასამტეხლოები, წარმოადგენს შპს „ენ.ემ.ჯი“-ისა და შპს „გროს ენერჯი ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები. ამასთანავე აღსანიშნია, რომ ორივე შემთხვევაში პირგასამტეხლოების ოდენობებმა გადააჭარბა სახელშეკრულებო ღირებულებებს და შემსყიდველის გადაწყვეტილებით მათ დაეკისრათ სახელშეკრულებო ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში N3, შესადარებლად ნაჩვენებია პირგასამტეხლოების ოდენობები ზემოაღნიშნული მიდგომების შესაბამისად. გათვლები, პირობითად გაკეთებულია 30 დღეზე. პირგასამტეხლოების სავარაუდო ოდენობები ცხრილში ნაჩვენებია შემდეგი მიმდევრობით:

- შპს „ენ.ემ.ჯი“-ისა და შპს „გროს ენერჯი ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით;
- სს „საქწყალპროექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების (პირველი 3 შემთხვევა) მიხედვით;
- სს „საქწყალპროექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (მე-4 შემთხვევა) მიხედვით;
- Arup International Projects-თან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

ცხრილი N3. პირგასამტეხლოების შედარება (ლარი)

	სახელშეკრულებო ღირებულება	I	II	III	IV
შპს „გროს ენერჯი“	20,000	2,700	600	210	120
შპს „ენ.ემ.ჯი“	27,140	2,700	814	285	163

დასკვნა

პირგასამტეხლოების განსაზღვრის პროცესში არ არის გათვალისწინებული შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება სხვადასხვა შემთხვევაში პირგასამტეხლოების მნიშვნელოვანი განსხვავებებით.

2.2.4 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურების ხარვეზი

კრიტერიუმი: სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების გათვალისწინების შემთხვევაში, სატენდერო კომისია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის

⁴² 27.07.2022, N 2-377/22 - 45,000 ლარი.

⁴³ 31.05.2022, N 2-259/22 - 50,380 აშშ დოლარი.

დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას, თუ მის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დასრულებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.⁴⁴

გარემოება

კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვაზე⁴⁵ 2021 წლის 21 მაისს გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაციით⁴⁶ განსაზღვრულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 5,046 ლარს. პრეტენდენტს შეთავაზება გაკეთებული აქვს 3,997 ლარზე, რაც 20.79%-ით ნაკლებია სავარაუდო ღირებულებაზე. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი⁴⁷ მიჩნეულია გამარჯვებულად, მისგან ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნის გარეშე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ტენდერის შედეგების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება ვერ შესრულდა.⁴⁸

დასკვნა

კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვაზე გამოცხადებულ ერთ ტენდერში მოთხოვნილი არ არის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს, სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე. ამასთანავე შესაძლებელია, რომ საქონლის მოწოდება ვერ განხორციელდა გამარჯვებულის მიერ შეთავაზებულ ფასად საქონლის მოწოდების შეუძლებლობის მიზეზით.

2.2.5 ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოუყენებლობა

კრიტერიუმი: შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.⁴⁹

გარემოება N1

ბეტონის შესყიდვაზე გაფორმებული და აუდიტის პროცესში შესწავლილი ოთხი ხელშეკრულებიდან,⁵⁰ სამი⁵¹ ითვალისწინებდა შემსყიდველის უფლებამოსილებას, რომ განეხორციელებინა საქონლის ნიმუშის (ბეტონის კუბიკი) აღება, რომელიც გამოიცდებოდა საქონლის მიწოდებიდან მე-7 და 28-ე დღეს. კომპანიის მიერ წარმოდგენილი განმარტებით, მოწოდებული საქონლის მარკის შემოწმება ხორციელდებოდა ბეტონის მარკის მზომი სპეციალური ჩაქუჩით,⁵² შესაბამისობის დადგენის შემდგომ კი ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტები.

⁴⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 18, პუნქტი 6.

⁴⁵ Storage NAS - 1ცალი და USB2COM გადამყვანი - 10 ცალი.

⁴⁶ NAT210009049 - სატენდერო დოკუმენტაციის პუნქტი 4.1.1.

⁴⁷ შპს „ჯეო ტეჩი“.

⁴⁸ კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 12 ნოემბრის Nმ-26633 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პარამეტრების საქონლის მოწოდება არ განხორციელდებულა.

⁴⁹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს N458 დადგენილებით დამტკიცებული - შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ მუხლი 3, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ N2-225/21, 07.04.2021 - 25,470 ლარი; N2-291/21, 04.05.2021 - 16,800 ლარი; N2-636/21, 01.11.2021 - 21,460 ლარი და N2-497/21, 05.08.2021 - 6,790 ლარი (სპეცწესი-გამარტივებული შესყიდვები).

⁵¹ N2-225/21, 07.04.2021; N2-291/21, 04.05.2021; N2-636/21, 01.11.2021.

⁵² დოკუმენტური მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია საქონლის მიწოდებისთანავე,⁵³ საქონლის ნიმუშის გამოცდის თარიღად კი დადგენილია მიწოდებიდან მე-7 და 28-ე დღე. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება მიწოდებული საქონლის გამოცდის განხორციელებაზე.

გარემოება N2

კომპანიის საკუთრებაში არსებული სპეცტექნიკის ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების⁵⁴ მიხედვით, შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლებს ევალებოდათ დეფექტური აქტების შედგენა. კომპანიის განმარტებით, საგარანტიო ტექნიკური მომსახურების დროს არ ხდება დეფექტური აქტების შედგენა, რადგან ჩასატარებელი სამუშაოები განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტით, რომლის პრეისკურანტიც შესაბამისი გარბენის ან ნამუშევარი მოტო-საათების მიხედვით წარმოდგენილია ხელშეკრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი სახის აქტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

ბეტონის შესყიდვაზე, შემოწმებული სამი ხელშეკრულების ფარგლებში, ვერ დასტურდება შემსყიდველის უფლებამოსილების – საქონლის გამოცდა მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით – განხორციელება.

კომპანიის მიერ არ ხორციელდება სპეციალური ტექნიკის საგარანტიო-ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული დეფექტური აქტების შედგენის მოთხოვნა, პრეისკურანტით დადგენილი მომსახურების ფარგლებში. ვინაიდან აღნიშნული მომსახურება თავისი შინაარსით წარმოადგენს გეგმურ მომსახურებას და არ არის დაკავშირებული რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში გასაწევ მომსახურებასთან და ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტებში აისახება თითოეული გაწეული მომსახურება, ასეთი აქტები არ წარმოადგენს აუცილებელ ვალდებულებას და მათი ასახვა ხელშეკრულებებში, ფაქტობრივად, ფორმალური ხასიათისაა.

2.2.6 მიღებული მომსახურების გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტი

კრიტერიუმი: შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.⁵⁵ ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციაა დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.⁵⁶

გარემოება

ენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურებაზე 2022 წლის 20 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების⁵⁷ საგანს წარმოადგენდა:

- ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე გადასვლის ოპტიმალური გზის მოძიება;
- სემეკის 2020 წლის 12 ნოემბრის N58 დადგენილების⁵⁸ შესაბამისად

⁵³ მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია იმავე თარიღით, რითაც დათარიღებულია გამოწერილი სასაქონლო ზედნადებები.

⁵⁴ NN 2-704/20, 07.12.2020; 2-729/20, 15.12.2020; 2-314/22, 22.06.2022; 2-6/22, 10.01.2022 და 2-405/22, 05.08.2022 (მუხლი 4.3).

⁵⁵ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს N458 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ მუხლი 3, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁵⁶ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მუხლი 2.3.2.

⁵⁷ N4-178/22 - შპს „ენერჯი სოლუმენს“ - 16,500 ლარი. ფაქტობრივი შესრულება და გადახდა შეადგენს 11,000 ლარს.

⁵⁸ ელექტროენერგიის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი დონისძიებების შესახებ.

განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა;

- ელექტროენერგიის შეძენის ოპტიმალური სქემის შემუშავებაში მონაწილეობა;
- ბაზარზე არსებულ პირებთან წარმოებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა და შემოთავაზებულ წინადადებებზე თუ გაწეულ მომსახურებაზე კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა.

2022 წლის 6 ივნისსა და ამავე წლის 11 ივლისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. რაიმე სახის სხვა დოკუმენტური დადასტურება, გაწეული მომსახურებისა და დადგენილი ვალდებულებების ერთმანეთთან იდენტიფიცირების თვალსაზრისით, წარმოდგენილი არ არის.

დასკვნა

ენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით, მიღება-ჩაბარების აქტების გარდა, წარმოდგენილი არ არის ასეთი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი სხვა რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება. შესაბამისად, ვერ დგინდება გაწეული მომსახურებისა და დადგენილი ვალდებულებების ურთიერთშესაბამისობა.

2.2.7 სავარაუდო ღირებულებების მნიშვნელოვანი ზრდა განმეორებით გამოცხადებულ ტენდერებში

კრიტერიუმი: ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც სხვა პროცედურებთან ერთად მოიცავს სავარაუდო ღირებულების დაზუსტება/დადგენას.⁵⁹

გარემოება

სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებული შვიდი ერთეული ჩაშლილი ტენდერის⁶⁰ შესწავლით დგინდება, რომ ბოლო ტენდერების სავარაუდო ღირებულებები მნიშვნელოვნად გაზრდილია პირველად გამოცხადებულ ტენდერებთან მიმართებით. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები შეცვლილია მხოლოდ ერთ შემთხვევაში.⁶¹

პირველად გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულებები დადგენილია საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე. განმეორებით გამოცხადებულ ტენდერებში ღირებულებები განსაზღვრულია საპროექტო ორგანიზაციების და/ან კომპანიის წინასაპროექტო კვლევისა და პროექტების შეფასების სამსახურის მიერ განხორციელებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადამუშავება-გადაანგარიშებისა და/ან კომპანიის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევების საფუძველზე.

აღნიშნული შვიდი შესყიდვიდან, საბოლოოდ განხორციელდა ექვსი. ერთი

⁵⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მუხლი 4, პუნქტი 6.

⁶⁰ NAT210003947, NAT220028553, NAT220028545, NAT220028535, NAT220016902, NAT220013738, NAT220012743.

⁶¹ I ტენდერი - NAT210003947, II ტენდერი - NAT230002815 (გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის I რიგის გ-41-ის და მისი II რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციის“ სამუშაოები).

შესყიდვა, ხუთჯერ ჩაშლილი ტენდერის⁶² შემდეგ აღარ განხორციელებულა.⁶³ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პირველი ტენდერები გამოცხადებულია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, რაც ფასების ზრდის შემთხვევაში, შესაძლოა გამხდარიყო მათი ჩაშლის მიზეზიც (იხ. დანართი N5 - ჩაშლილი ტენდერები).

კომპანიის განმარტებით, 2021-2022 წლებში შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გამოწვევას წარმოადგენდა ტენდერის პროცედურის წარმარვთა. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერები ცხადებოდა ა(ა)იპ - მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ შედგენილი სამშენებლო რესურსების ფასებით, რომელსაც პირველ ეტაპზე დაეყრდნო კომპანია, თუმცა აღნიშნულ პერიოდში ტენდერები არ შედგა, ვინაიდან ბაზარზე არსებული რეალობისგან განსხვავდებოდა ზემოხსენებული კავშირის მიერ განსაზღვრული ფასები. 2021-2022 წლებში სამუშაოების ძირითადი ფასწარმომქმნელი სამშენებლო მასალების ფასები მკვეთრად იზრდებოდა. პრობლემის იდენტიფიცირების შემდგომ, კომპანია იძულებული გახდა თითოეულ ობიექტზე მოეხდინა ღირებულების დადგენა ფასთა კვლევის მეთოდით, რაც მოითხოვდა დამატებით დროს. ამასთანავე, დროის ძალიან მცირე მონაკვეთში ფასების ზრდის ტენდენციის გამო, კომპანიის მიერ რეალურ ღირებულებასთან მიახლოებული ფასის დაფიქსირება რამდენიმე ტენდერის გამოცხადებისას ვერ განხორციელდა.

დასკვნა

სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ჩაშლილ ტენდერებთან მიმართებით, რიგ შემთხვევებში, განმეორებით გამოცხადებულ ტენდერებში მნიშვნელოვნად გაზრდილია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, რაც შესაძლოა მიუთითებდეს სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე

2.2.8 პირგასამტეხლობის დაკისრებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.⁶⁴ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების მიღების აქტი – ფორმა N2) გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურების შემდეგ“.⁶⁵ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოს წარდგენა ხორციელდება, სულ მცირე, თვეში ერთხელ. მიმწოდებელი არ არის შეზღუდული საანგარიშო პერიოდში წარმოადგინოს რამდენიმე შესრულება.⁶⁶ მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას, სამუშაოს შესრულების ვადებით გათვალისწინებული საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს შეუსრულებელი სამუშაოს

⁶² ბოლო ტენდერი - NAT220028545.

⁶³ 2023 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით.

⁶⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁶⁵ ხელშეკრულების მუხლი 5.2.

⁶⁶ ხელშეკრულების მუხლი 5.1.

ღირებულების 0.5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.⁶⁷

გარემოება

კომპანიის კონტრაქტორებს შეუსრულებელ სამუშაოებზე დაერიცხათ პირგასამტეხლო.⁶⁸ ვადაგადაცილებულ სამშენებლო სამუშაოებთან მიმართებით პირგასამტეხლოს ნაწილის დარიცხვა, კომპანიის მიერ განხორციელებულია პირვანდელი სახელშეკრულებო ღირებულებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო ღირებულებები შეიცვალა. შესაბამისად, შეუსრულებელი სამუშაოების თანხობრივი სიდიდეები, რაც პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველია, უნდა გაანგარიშებულიყო ხელშეკრულების შეცვლილი ღირებულებებიდან.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში არსებული პრაქტიკით, სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებული დღეების დასადგენად გამოიყენება როგორც ფორმა N2-ების შედგენის თარიღები, ასევე ცალკეული სამუშაოს შესრულების თარიღები, რომლებიც დადასტურებულია ფარულ სამუშაოთა აქტებისა და სამუშაოების წარმოების ჟურნალში დაფიქსირებული თარიღებით. აღნიშნული ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მთლიანად შესრულებულია ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული პუნქტის სამუშაოები.

დასკვნა

კომპანიის მიერ კონტრაქტორებთან სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გაფორმებულ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს დარიცხვის მუხლი დეტალურად არ განსაზღვრავს ვადაგადაცილებული დღეების გაანგარიშების წესს. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი დავები კომპანიასა და კონტრაქტორებს შორის.

რეკომენდაცია N2

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობას

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ვადაგადაცილებული დღეების და შესაბამისი პირგასამტეხლოს გაანგარიშებისთვის, შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდი/მიდგომა სამართლიანობისა და მართლზომიერების პრინციპების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, რომ ხელშეკრულებებში დეტალურად გაიწეროს, თუ რომელი დოკუმენტაციის და მეთოდის საფუძველზე განხორციელდება შესრულებული სამუშაოების თარიღების დადასტურება და შესაბამისი პირგასამტეხლოს გაანგარიშება.

2.2.9 სატენდერო კომისიის არამართლზომიერი გადაწყვეტილებები

კრიტერიუმი: კომისიამ უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია პროცედურის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, კომისიის გადაწყვეტილებით, ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ

⁶⁷ ხელშეკრულების მუხლი 9.3.

⁶⁸ NAT190019761 - 2019 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულება N1/662-19 (საბოლოო ღირებულება - 986,150 ლარი) და NAT190025611 - 2020 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულება N1-52/20 (საბოლოო ღირებულება - 1,927,318 ლარი).

გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.⁶⁹

გარემოება N1

დიზელის საწვავის შესყიდვაზე 2021 წლის 28 აპრილს გამოცხადებული ელექტრონული პროცედურის⁷⁰ დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ პოტენციურ მომწოდებლებს, ფლობასა და/ან სარგებლობაში უნდა ჰქონოდათ ავტოგასამართი სადგურები საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში – რეგიონული დაყოფის პრინციპით.⁷¹

ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებული კერძო სამართლის იურიდიული პირის⁷² მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სარეალიზაციო პუნქტის არსებობა ვერ დასტურდება რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთის რეგიონში. აღნიშნულის მიუხედავად, კომისიის მიერ მიჩნეულია, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ავტოგასამართი სადგურების ჩამონათვალი აკმაყოფილებდა ელექტრონული პროცედურით დადგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებს.⁷³

გარემოება N2

ლაგოდეხის მაგისტრალური არხის⁷⁴ რეაბილიტაციის დეტალურ საინჟინრო-საპროექტო მომსახურებაზე 2021 წლის 1 სექტემბერს გამოცხადებული ელექტრონული პროცედურის⁷⁵ დოკუმენტაციით განისაზღვრა რომ: თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი არ იქნებოდა დადგენილი ფორმით შევსებული „სპეციალისტისა და პრეტენდენტის თანხმობა“, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განხორციელდებოდა ტექნიკური დოკუმენტაციის არსებითი ნაწილის წარმოდგენლობის მიზეზით.⁷⁶ აღნიშნული მოთხოვნის დაუდასტურებლობის მიუხედავად, კომისიის მიერ არ განხორციელდა პრეტენდენტის⁷⁷ დისკვალიფიკაცია და მოთხოვნილია დოკუმენტაციის დაზუსტება.⁷⁸

დასკვნა

დიზელის საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვერ დასტურდებოდა ავტოგასამართი სადგურების ყველა რეგიონში არსებობა, კომისიის მიერ არ არის მოთხოვნილი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და იგი მიჩნეულია დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად, რაც მიუთითებს კომისიის არამართლზომიერ გადაწყვეტილებაზე.

საინჟინრო-საპროექტო მომსახურებაზე გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში, სატენდერო კომისიის მიერ მიღებულია მის მიერვე დადგენილ

⁶⁹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს N485 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

⁷⁰ GEO210000242 - შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1,082,540 ლარი

⁷¹ სატენდერო დოკუმენტაციის მუხლი 2.1.3.

⁷² სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“.

⁷³ შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სამუშაოების, საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი N2, 10.05.2021წ.

⁷⁴ ეტაპი III, პკ 10+59-დან პკ 29+94-მდე.

⁷⁵ GEO210000479 - შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 36,966 ლარი.

⁷⁶ სატენდერო დოკუმენტაციის მუხლი 4 და დანართი N3.

⁷⁷ შპს „ხიდპროექტი“.

⁷⁸ შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი N2, 14.09.2021წ.

მოთხოვნასთან შეუსაბამო გადაწყვეტილება.

2.2.10 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემზღუდავი მოთხოვნა

გარემოება

კრიტერიუმი: შემსყიდველი ვალდებულია რაციონალურად განახორციელოს შესყიდვები. შემსყიდველი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილია განსაზღვროს მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.⁷⁹

ტუმბოების შესყიდვაზე 2021 წლის 15 ივლისს გამოცხადებული ელექტრონული პროცედურის⁸⁰ დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ შემოთავაზებული პროდუქტი უნდა ყოფილიყო კომპანია GRUNDFOS-ის წარმოებული. იმავე მონაცემების მქონე პროდუქტის სხვა მწარმოებლის შემთხვევაში კი, GRUNDFOS-ის მიერ უნდა დადასტურებულიყო შემოთავაზებული პროდუქტის შესაბამისობა, მის მიერ წარმოებულთან მიმართებით. აღნიშნული მოთხოვნა გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენციას, რადგან მითითებულ კომპანიას შეუძლია არ დაუდასტუროს კონკურენტ კომპანიებს შესაბამისობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებული იურიდიული პირი⁸¹ წარმოადგენდა GRUNDFOS-ის ოფიციალურ დილერს საქართველოში და მის მიერ შეთავაზებულია ამ კომპანიის წარმოებული საქონელი.

დასკვნა

285,719 ლარის სავარაუდო ღირებულების ტუმბოების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული პროცედურით დადგენილია გარკვეულწილად შემზღუდავი მოთხოვნა. ასეთი სახის მოთხოვნების დაწესებამ შესაძლებელია განაპირობოს კონკურენციის შეზღუდვა, რაც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვის ღირებულებას.

2.2.11 შესყიდვების წინამოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში სათანადო აქტივობები საჭიროა განხორციელდეს ერთობლივად, შესყიდვების კოორდინატორებისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით.⁸² ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების დაზუსტების/დადგენის მიზნით.⁸³

გარემოება N1

შპს „საქართველოს მელიორაციას“ და მის კონტრაქტორ კომპანიებს სხვადასხვა სახის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების,⁸⁴ პროექტირების დროს სათანადო კომუნიკაცია არ ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც იწვევდა მთელ რიგ პრობლემებს უშუალოდ სამუშაოების დაწყების შემდეგ. კერძოდ: მოსახლეობის მოთხოვნით საჭირო ხდებოდა დამატებითი სამუშაოების შესრულება, არსებული პროექტის კორექტირება და სხვ., რის

⁷⁹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს N485 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ მე-3 მუხლის პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი და მე-9 მუხლის პუნქტი 1.

⁸⁰ GEO210000401 - შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 285,719 ლარი.

⁸¹ შპს „მეგაპროექტი“ - პროცედურაში მონაწილე ერთადერთი პირი.

⁸² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითებები შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპისათვის.

⁸³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁸⁴ NAT200010213, NAT210016138, NAT190025701, NAT210018156, NAT210016323, NAT220018118.

გამოც იზრდებოდა სახელშეკრულებო ღირებულება და ვადები.

გარემოება N2

სამშენებლო და/ან სარეაბილიტაციო სამუშაოების⁸⁵ პროექტირებისას არ ტარდებოდა სამუშაოების ჩასატარებელ ტერიტორიებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გარკვევა, მაგალითად: ტერიტორიების მესაკუთრეთა იდენტიფიცირება, რის გამოც დაწყებული სამუშაოების პროცესში იქმნებოდა პრობლემები, აღნიშნული კი განაპირობებდა ხელშეკრულებების ვადების გაგრძელებასა და დამატებითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობას.

დასკვნა

სამშენებლო და/ან სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების დროს რიგი საკითხების გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის პრობლემატური საკითხი წარმოიქმნა უშუალოდ სამუშაოების წარმოების პროცესში, რაც მიუთითებს შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე.

2.2.12 ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია. ხელშეკრულების შესრულების/შესრულებლობის შემთხვევაში არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების/შესრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ასახავს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას. ხელშეკრულების ეტაპობრივი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების/შესრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ასახავს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას ხელშეკრულების კონკრეტული ეტაპის შესრულებიდან/შესრულებლობიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.⁸⁶

გარემოება

ზოგიერთ შემთხვევაში,⁸⁷ შპს „საქართველოს მელიორაცია“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ ან/და დაგვიანებით ტვირთავდა სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ ისეთ დოკუმენტაციას, როგორებიცაა: საბანკო გარანტია, საგადახდო დავალება, კორესპონდენცია და სხვ.

დასკვნა

ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიის მიერ დაგვიანებით და/ან საერთოდ არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე.

⁸⁵ NAT220013627, NAT210016323, NAT200010010.

⁸⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 33-ე მუხლის მე-10 პუნქტი, 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

⁸⁷ NAT220010504, NAT210009161, NAT220012349, NAT190019761, NAT210010787.

2.3 აქტივების მართვა

2.3.1 ინვენტარიზაციებით გამოვლენილი დანაკლისები

კრიტერიუმი: ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად.⁸⁸ ინვენტარიზაციის შედეგად საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული აქტივების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების (მხოლოდ ძირითადი საშუალება) ჩამოწერის მუდმივმოქმედ კომისიას⁸⁹ და მისი დასკვნის საფუძველზე ხდება აქტივების ჩამოწერა.⁹⁰ შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებს განკარგავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როგორც შპს „საქართველოს მელიორაციის“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილის 100%-ის მმართველი.⁹¹

გარემოება

2021-2022 წლებში კომპანიაში ინვენტარიზაცია ჩატარდა სამჯერ, თუმცა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთი 2021 წელს შეადგენდა შესაბამისად, 6,113,941 და 3,572,097 ლარს, ხოლო 2022 წელს – 9,075,836 და 2,931,461 ლარს.

შპს „საქართველოს მელიორაციისა“ და შპს „გრანტ თორნტონს“ შორის 2021 წლის 12 იანვარს გაფორმებული N1-6/21 ხელშეკრულებით ჩატარებული ინვენტარიზაციისას ვერ იქნა მოძიებული 876 ერთეული აქტივი, რომლებიც კომპანიის მიერ მიჩნეულ იქნა დანაკლისად. ამასთანავე, დანაკლისად მიჩნეული აქტივების საბალანსო ღირებულება ვერ დადგინდა.

დანაკლისები გამოვლინდა აგრეთვე კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით ჩატარებული ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის და სხვა საკომუნიკაციო ელექტრომოწყობილობების ინვენტარიზაციისას,⁹² რადროსაც ვერ იქნა მოძიებული 335 ერთეული აქტივი ნულოვანი საბალანსო ღირებულებით. დანაკლისად მიჩნეული კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო ელექტრომოწყობილობები საინვენტარიზაციო კომისიის რეკომენდაციისა და გენერალური დირექტორის დავალების შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურმა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად ჩამოწერა ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მოძრავი ქონების ჩამოწერა ხდება დაწესებულების

⁸⁸ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-14 და მე-15 მუხლები.

⁸⁹ „შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების (მხოლოდ ძირითადი საშუალება) ჩამოწერის მუდმივმოქმედ კომისიის შექმნის შესახებ“ შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 24 მარტის N49 ბრძანება.

⁹⁰ „შპს „საქართველოს მელიორაციაში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ კომპანიის გენერალური დირექტორის 2017 წლის 27 ოქტომბერის N95 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მუხლი 2, პუნქტი 1.

⁹¹ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის 2012 წლის 23 მაისს დადებული - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებაში ცლილების შეტანის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ქონების ეროვნულ სააგენტოსა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამონაცვლე) შორის 2019 წლის 6 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების მუხლი 4.4, „პ“ ქვეპუნქტი.

⁹² შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის და სხვა საკომუნიკაციო ელექტრომოწყობილობების ინვენტარიზაციის შესახებ“ კომპანიის გენერალური დირექტორის 2022 წლის 22 ივნისის N96 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაცია.

ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით, დანაკლისად მიჩნეული ქონების ჩამოწერაზე რეკომენდაცია უნდა გაეცა ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების (მხოლოდ ძირითადი საშუალება) ჩამოწერის მუდმივმოქმედ კომისიას, რადგან ძირითადი საშუალებების ჩამოწერა, კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანების შესაბამისად, მისი პრეროგატივაა.

დასკვნა

კომპანიაში 2021-2022 წლებში არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც მიუთითებს საკანონმდებლო მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებაზე.

კომპანიის მიერ ჩატარებული ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის და სხვა საკომუნიკაციო ელექტრომოწყობილობების ინვენტარიზაციის შედეგებით, დანაკლისად მიჩნეული 335 ერთეული აქტივის ჩამოწერა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და კომპანიის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების (მხოლოდ ძირითადი საშუალება) ჩამოწერის მუდმივმოქმედ კომისიასთან შეუთანხმებლად. შპს „გრანტ თორნტონის“ მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 876 ერთეული აქტივის დანაკლისი. ამ შემთხვევაში მათი ჩამოწერა არ განხორციელებულა. აქტივებზე, რომლებზეც არ იყვნენ ცნობილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირები და რომლებიც საინვენტარიზაციო კომისიების მიერ მიჩნეულ იქნა დანაკლისად, შემდგომი სამართლებრივი რეაგირება არ მომხდარა.

2.3.2 მიუღებელი საიჯარო შემოსავალი

კრიტერიუმი: ხელშეკრულების პირობებით მოიჯარემ კომპანიას ყოველთვიურად, წინასწარი გადახდებით არაუგვიანეს საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე, უნდა გადაუხადოს საფასური.⁹³ იჯარის საფასურის გადაუხდელობის ან დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, მოიჯარეს უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო დავალიანების 0.15%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.⁹⁴

გარემოება

კომპანიასა და ფიზიკურ პირს შორის 2021 წლის 11 ნოემბერს გაფორმდა ხუთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება მიწისა და მასზე არსებული ფარდულის იჯარაზე, თვიური საიჯარო ქირით – 1,210 ლარი. 2023 წლის 4 ოქტომბერს შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსული წერილით, ფიზიკურმა პირმა მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა. ხელშეკრულების გაფორმებიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნამდე, თითქმის ორი წლის განმავლობაში, მოიჯარეს საიჯარო ქირა არ გადაუხდია და არც კომპანიას მიუმართავს მისთვის გადახდის მოთხოვნით. ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის შემდეგ, 2023 წლის 12 ოქტომბერს, მოიჯარესთან კომპანიიდან პირველად გაიგზავნა წერილი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გადაუხდელი საიჯარო ქირის და დარიცხული პირგასამტეხლოს – 40,548 ლარის გადახდის მოთხოვნით.

დასკვნა

სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონებიდან შემოსავლების

⁹³ თვეში - 1,210 ლარი.

⁹⁴ 2021 წლის 11 ნოემბრის N5 ხელშეკრულება.

მიღებაზე არასათანადო ადმინისტრირების გამო, კომპანიას საიჯარო ქირის სახით გააჩნია 40,548 ლარის დებიტორული დავალიანება.

2.3.3 აქტივების რეგისტრაციის ხარვეზები

კრიტერიუმი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა სატრანსპორტო საშუალებათა, მათი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამხმარე ტექნიკური საშუალებების რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა,⁹⁵ ხოლო სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქცია - რეგისტრაცია.⁹⁶ კომპანიის ქონების მართვის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა კომპანიის კაპიტალში შეტანილი ქონების შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებად რეგისტრაციებთან დაკავშირებით საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა,⁹⁷ ხოლო კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქცია - კომპანიის კაპიტალში არსებული ქონების აღრიცხვა.⁹⁸

გარემოება N1

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 425 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგენილი რეესტრით, კომპანიაზე რეგისტრირებული იყო 390 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. კომპანიისა და შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრების ურთიერთშედარებით გამოვლინდა, რომ ორივე რეესტრში ერთსა და იმავე სახელმწიფო სანიშნე ნომრით რეგისტრირებული იყო 356 სატრანსპორტო საშუალება. ამასთანავე, შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში დაფიქსირებულია 10 ერთეული ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლებიც 2021-2022 წლებშია რეალიზებული ელექტრონული აუქციონის გზით, 18 ერთეული - გასულ წლებშია ჩამოწერილი, ხოლო 6 ერთეული გადაეცა სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოს და მის მფლობელობაში დარეგისტრირდა 2023 წელს.

კომპანიის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებიდან 69 ერთეული არ ფიქსირდება შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში. მათ შორის არის შვიდი ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომლებზეც სააგენტოს მიერ გაცემულია სარეგისტრაციო მოწმობები, ხოლო ერთი ერთეული არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

⁹⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „შსს-ს მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი.

⁹⁶ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁹⁷ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2021 წლის 17 ივნისის N84 ბრძანებით დამტკიცებული შპს „საქართველოს მელიორაციის“ დებულების პუნქტი 6.13.2.2.

⁹⁸ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2021 წლის 17 ივნისის N84 ბრძანებით დამტკიცებული შპს „საქართველოს მელიორაციის“ დებულების პუნქტი 6.14.2.10.

ცხრილი N4. კომპანიის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ იძებნება სსიპ – შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში

ჩამოწერილია ბალანსიდან ჯართად რეალიზაციის მიზნით ⁹⁹	39
რეალიზებულია ელექტრონული აუქციონით	15
შეტანილია კომპანიის კაპიტალში ¹⁰⁰	3
ვერ იდენტიფიცირდება ¹⁰¹	3
ამორტიზებულია ¹⁰²	1
სულ	61

გარემოება N2

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა შესაბამისი საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 983 ერთეული უძრავი ქონება. საჯარო რეესტრის მიერ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგენილი უძრავი ქონების რეესტრით კი ფიქსირდება 1,035 ერთეული.

კომპანიისა და საჯარო რეესტრის რეესტრების ურთიერთშედარებით გამოვლინდა, რომ ორივე რეესტრში ერთი და იმავე საკადასტრო კოდით რეგისტრირებული იყო 973 ერთეული ძირითადი აქტივი. 10 ერთეული აქტივი, რომელიც ირიცხება კომპანიის ბალანსზე, არ იძებნება საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილ რეესტრში.

საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილ რეესტრში დაფიქსირებული 1,035 ერთეული აქტივიდან 6 ერთეული ამოღებულია კომპანიის კაპიტალიდან და წარმოადგენს სხვის საკუთრებას, 25 ერთეული აქტივი სხვა საკადასტრო კოდით არის რეგისტრირებული კომპანიაში.¹⁰³ რაც შეეხება დარჩენილ სხვაობას, 31 ქონების საკადასტრო მონაცემს, რომელიც მივიღეთ საჯარო რეესტრიდან, აღნიშნული საკადასტრო კოდები საერთოდ არ იძებნება საჯარო რეესტრის ელექტრონულ სამიზნო სისტემაში.¹⁰⁴ ერთ შემთხვევაში აქტივი არ არსებობს, განადგურებულია და მისი ნაწილი გამოყენებულია სხვა აქტივის მშენებლობაზე. აღნიშნული აქტივი დღემდე ირიცხება კომპანიის ბალანსზე.

დასკვნა

გამოვლინდა შეუსაბამოებები კომპანიის ბალანსზე რიცხულ და სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულ ქონებებთან მიმართებით. კერძოდ, შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში დაფიქსირებული 390 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან, 34 ერთეული არ იძებნება კომპანიის რეესტრში, ხოლო კომპანიის ბალანსზე რიცხული 425 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან, 69 ერთეული არ ფიქსირდება შსს-ს მომსახურების სააგენტოს რეესტრში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

⁹⁹ კომპანიის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის N103 ბრძანება.

¹⁰⁰ კომპანიის კაპიტალში შეტანილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 28 მაისის N2-779 ბრძანებით.

¹⁰¹ ვერ იქნა იდენტიფიცირებული და შსს-ს მომსახურების სააგენტო ვერ ახერხებს მის რეგისტრაციას.

¹⁰² ერთი ბუღდოზური, რომელიც ასევე მუშაობს კონკრეტულ ტერიტორიაზე, იმდენად გაცვეთილია, რომ დასარეგისტრირებლად საჭირო ნაწილების იდენტიფიცირება ვერ ხორციელდება.

¹⁰³ საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილ რეესტრში არასწორად არის მითითებული საკადასტრო კოდები.

¹⁰⁴ maps.napr.gov.ge და reestri.gov.ge; საკადასტრო კოდები: 80.04.30.000.185, 55.00.043, 55.00.065, 55.00.075, 55.00.077, 55.00.064, 55.00.090, 55.07.00.107, 55.00.078, 55.00.070, 55.00.069, 55.00.083, 55.00.044, 55.00.076, 55.00.037, 55.00.066, 55.00.059, 55.00.055, 55.00.063, 55.00.039, 55.00.049, 55.00.036, 55.20.00.034, 55.00.073, 55.00.081, 55.00.082, 55.00.074, 55.00.051, 55.07.00.106, 55.12.00.571, 55.00.038.

მიერ წარმოდგენილ რეესტრში დაფიქსირებული 1,035 ერთეული უძრავი ქონებიდან, 62 ერთეული არ იძებნება კომპანიის რეესტრში, ხოლო კომპანიის რეესტრში დაფიქსირებული 983 ერთეული უძრავი ქონებიდან, 10 ერთეული არ იძებნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრში. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონების აღრიცხვის ნაკლოვანებებზე.

რეკომენდაცია N3

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობას

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, აქტივების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ურთიერთშესაბამისობაში მოიყვანოს უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და შსს – მომსახურების სააგენტოს მონაცემებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს შპს „საქართველოს მელიორაციის“ აქტივების აღრიცხვის სისრულეს, სიზუსტეს და არსებობის დადასტურებას.

2.3.4 საწვავის ხარჯის მონიტორინგი

კრიტერიუმი: კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს. კონტროლის ღონისძიებები მოიცავს წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას.¹⁰⁵

გარემოება

კომპანიაში საწვავის ჩამოწერა ხდება დანახარჯების უწყისების გამოყენებით. 2021-2022 წლებში კომპანიაში გახარჯულია 6,705,609 ლარის 3,126,521 ლიტრი საწვავი.

სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც საწვავი ჩამოიწერება გავლილი მანძილის მიხედვით, გაფორმებულ დანახარჯების უწყისებში მითითებულია სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი, სახელმწიფო ნომერი, მოთხოვნილი საწვავი/ლიმიტი, მივლინებით გამოყოფილი საწვავი, საწვავის მარკა, საწვავის ხარჯვის ზღვრული ნორმა 100 კმ-ზე, გავლილი მანძილი, ოდომეტრის ჩვენება თვის დასაწყისში და თვის ბოლოს, ავზში ჩასხმული საწვავი, გახარჯული საწვავი.

სპეცტექნიკაზე, რომლებზეც საწვავი ჩამოიწერება ნამუშევარი საათების მიხედვით, გაფორმებულ დანახარჯების უწყისებში დაფიქსირებულია GPS მოწყობილობებიდან მიღებული ნამუშევარი საათები და გახარჯული საწვავი.

კომპანიის განმარტებით, ყველა სპეცტექნიკაზე დამონტაჟებულია GPS მოწყობილობა და GPS Wialon პროგრამის საშუალებით, მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლების მიერ ყოველდღიურად კონტროლდება მათი გადაადგილება და მუშაობა; აგრეთვე სპეცტექნიკის საწვავების ავზებში დამონტაჟებულია დაკალიბრებული საწვავის სენსორი, რომლითაც კონტროლდება ავზში არსებული საწვავის ნაშთი, საწვავის ჩასხმისა და ამოღების შესახებ ინფორმაცია. კომპანიის განმარტებით, GPS მონაცემების შენახვა ელექტრონული ფორმით დაკავშირებულია მნიშვნელოვან

¹⁰⁵ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პუნქტი 1 და პუნქტი 3, „ე“ ქვეპუნქტი.

დანახარჯებთან, რის გამოც აღნიშნული ინფორმაცია ინახება მხოლოდ ორი თვის განმავლობაში. შედეგად, ვერ განხორციელდა 2021-2022 წლების პერიოდში პროგრამულად ასახული ინფორმაციის შედარება დანახარჯების უწყისების შესაბამის მონაცემებთან.

დასკვნა

სპეცტექნიკის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე საწვავი ჩამოიწერება ნამუშევარი საათების მიხედვით, რისი აღრიცხვაც ხდება GPS მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამა ასევე აღრიცხავს ყოველდღიურ ინფორმაციას – საწვავის ნაშთის, საწვავის ჩასხმისა და ამოღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ GPS-ის საშუალებით მიღებული ინფორმაცია კომპანიაში ინახება მხოლოდ ორი თვის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება სპეცტექნიკის მიერ ნამუშევარი საათებისა და ჩამოწერილი საწვავის სისწორეზე.

რეკომენდაცია N4.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობას

სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების მიერ ნამუშევარი საათების და ჩამოწერილი საწვავის სისწორის დასადასტურებლად და შესაბამისად, დანერგილი კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შპს „საქართველოს მელიორაციამ“, ხარჯეფექტიანობის გათვალისწინებით, განიხილოს კონტროლის მექანიზმის დანერგვის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს GPS მონაცემების ხანგრძლივი/გონივრული ვადით შენახვას.

2.4 კომპანიის მიერ გაწეული სერვისები - სპეციალური ტექნიკითა და ტუმბო-აგრეგატებით გაწეული მომსახურებები

2.4.1 რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ გაფორმებული დოკუმენტაცია

კრიტერიუმი: შპს „საქართველოს მელიორაციის“ დირექტორის ბრძანებით კომპანია კონტრაქტორს მომსახურებას უწევს ღირებულების 50%-ის წინასწარ გადახდის შემდგომ, ხოლო მომსახურების საფასური სრულად იფარება სამუშაოების დასრულების შემდგომ 5 დღის ვადაში. აღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას, გადაუხადოს პირგასამტეხლო მომსახურების გამწვევს, შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის¹⁰⁶ ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.¹⁰⁷

¹⁰⁶ ტუმბო-აგრეგატების შემთხვევაში - 0.2%.

¹⁰⁷ შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 15 მარტის N29 და 2022 წლის 18 მარტის N45 ბრძანებების დანართი N2-ით დამტკიცებული სპეცტექნიკით მომსახურების ხელშეკრულების ფორმების მუხლი 5.1 და მუხლი 9.3; შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 იანვრის N2 და 2022 წლის 18 მარტის N46 ბრძანებების დანართი N3-ით დამტკიცებული მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატებით მომსახურების ხელშეკრულების ფორმების მუხლი 5.1.

გარემოება N1

კომპანიის მფლობელობაში არსებული სპეციალური ტექნიკით მომსახურების 13 შემთხვევაში, მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ ანგარიშსწორებისათვის, განსაზღვრულია 5-დღიანი პერიოდისგან განსხვავებული ვადები, რომლებიც შეადგენს 7-დან 20 დღის ჩათვლით პერიოდებს.¹⁰⁸ მათ შორის, 12 ხელშეკრულება გაფორმებულია ერთსა და იმავე იურიდიულ პირთან.¹⁰⁹

დასკვნა

სპეციალური ტექნიკით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 13 შემთხვევაში დადგენილია დაწესებული რეგულაციებისგან განსხვავებული ანგარიშსწორების პერიოდები, მათ შორის, 12 შემთხვევაში ასეთი შეღავათის მიმღებია ერთი და იგივე იურიდიული პირი.

კრიტერიუმი: კომპანიის მფლობელობაში არსებული მობილური გადასატანი ტუმბო-აგრეგატებით მომსახურებაზე გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტი ითვალისწინებს, გამოყენებული მიღების სიგრძისა და გადაზიდვის მანძილის ფაქტობრივი მაჩვენებლების მითითებას. გასაწევი მომსახურების ტარიფები დადგენილია აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით.¹¹⁰

გარემოება N2

ტუმბო-აგრეგატებით გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული 13 ხელშეკრულებიდან, 10 შემთხვევაში¹¹¹ მიღება-ჩაბარების აქტებით არ არის განსაზღვრული გამოყენებული მიღების სიგრძისა და გადაზიდვის მანძილის ფაქტობრივი მაჩვენებლები. ასეთი ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავალი შეადგენდა 28,515 ლარს. აღსანიშნავია, რომ მომსახურების სახელშეკრულებო-სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება მითითებული მაჩვენებლების პარამეტრებისათვის დადგენილი ტარიფების მიხედვით, გაწეული მომსახურების ღირებულების განსაზღვრა კი ხორციელდება ფაქტობრივი მაჩვენებლების შესაბამისად, რაც უნდა ფიქსირდებოდეს მიღება-ჩაბარების აქტებში.

დასკვნა

ტუმბო-აგრეგატებით გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული 13 ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

¹⁰⁸ შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-თან გაფორმებული 12 ხელშეკრულება: N1, 03.02.2022 - 10 დღე; N3, 11.02.2022 - 7 დღე; N4, 11.02.2022 - 7 დღე; N2, 16.02.2022 - 12 დღე; N3, 18.02.2022 - 10 დღე; N5, 18.02.2022 - 10 დღე; N6, 18.02.2022 - 10 დღე; N4, 28.02.2022 - 15 დღე; N5, 28.02.2022 - 15 დღე; N7, 01.03.2022 - 15 დღე; N80, 1.03.2022 - 15 დღე; N7, 08.04.2022 - 20 დღე. შპს „პროდს გეოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N2, 22.02.2022 - 8 დღე.

¹⁰⁹ 12 ხელშეკრულებიდან 11 ერთეული გაფორმებულია შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-თან და ერთი ხელშეკრულება - შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N2“ - თან (მეწილეები არიან ერთი და იგივე იურიდიული და ფიზიკური პირები).

¹¹⁰ შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 იანვრის N2 და 2022 წლის 18 მარტის N46 ბრძანებებით დამტკიცებული დანართები N1 და N2 (მომსახურების საფასურები) და დანართი N4 (მიღება-ჩაბარების აქტი).

¹¹¹ ლევან როსტიაშვილი - N1, 31.05.2021; გურამ ოთიაშვილი - N2, 18.06.2021; სიმონ ჭიკაძე - N3, 23.06.2021; შპს „ალმონდ თრი“ - N1, 07.02.2022; შპს „უდაბნო“ - N2, 12.05.2022; შპს „ქანდა აგრი ქალჩერი“ - N1, 04.07.2022; გიორგი სვანიძე - N3, 16.07.2022; შპს „მატო ჩაილური“ - N4, 19.07.2022; გიორგი მჭედლიშვილი - 26.07.2022-N5; ედიშერ ჩოკორაია - 19.08.2022-N6

2.4.2 რეგულაციებით დადგენილ ტარიფებთან დაკავშირებული შეუსაბამობები

კრიტერიუმი: სერვისცენტრის ერთ-ერთი ფუნქციაა სპეცტექნიკით მომსახურება რეგიონულ სამსახურთან შეთანხმებით და შესაბამისი აღრიცხვა-ანგარიშების წარმოება.¹¹² კომპანიის გამართულად და ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სპეცტექნიკით მომსახურების ტარიფები.¹¹³

გარემოება

ლაგოდეხი-ყვარლის სერვისცენტრის მიერ სპეცტექნიკით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებიდან სამ შემთხვევაში, მომსახურების საფასური განსაზღვრულია და შესაბამისად ანაზღაურება განხორციელებულია 2022 წლის 18 მარტამდე მოქმედი ტარიფებით. კერძოდ, DOOSAN-ის მარკის SOLAR 210W-V მოდელის თვლიანი ექსკავატორით მომსახურება, ნაცვლად 700 ლარისა, განხორციელებულია 529 ლარის¹¹⁴ ოდენობაზე, მომსახურების ერთ დღეზე გადაანგარიშებით.

ცხრილი N5. ინფორმაცია ძველი ტარიფების გამოყენებით მიღებული დანაკლისის შესახებ (ლარი)

მომსახურების მიმღები	ხელშეკრულება	დღეები	ანაზღაურება	ძველი ტარიფი	მოქმედი ტარიფი	ასანაზღაურებელი	დანაკლისი
შპს „ჯი დი ბი“	02.08.2022	3	1,587	529	700	2,100	513
შპს „ჯი დი ბი“	22.09.2022	2	1,058	529	700	1,400	342
შპს „ჯი დი ბი“	02.11.2022	2	1,058	529	700	1,400	342
			3,703			4,900	1,197

დასკვნა

სპეცტექნიკით მომსახურების სამ შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელებულია ხელშეკრულებების გაფორმების თარიღებისათვის გაუქმებული ტარიფების მიხედვით, რის შედეგადაც კომპანიას მიღებული აქვს 1,197 ლარით ნაკლები შემოსავალი.¹¹⁵

2.4.3 პირგასამტეხლოს დარიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა

კრიტერიუმი: კომპანიის კონტრაქტორი მომსახურების ან მისი ნაწილის შესრულების შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში ანაზღაურებს მიღებული მომსახურების საფასურს. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია შპს „საქართველოს მელიორაციას“ გადაუხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.¹¹⁶

¹¹² შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N132 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მუხლი 6.4.12.42.

¹¹³ 2022 წლის 18 მარტის N45 ბრძანება.

¹¹⁴ შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 15 მარტის N29 ბრძანებით დამტკიცებული ტარიფი.

¹¹⁵ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფაქტის გამოვლენის შემდგომ, კომპანიამ უზრუნველყო კონტრაქტორისგან არსებული სხვაობის დაფარვა. თანხა დაბრუნებულია 2023 წლის 4 დეკემბერს.

¹¹⁶ დიზელისძრავიანი წყალსაქაჩი ტუმბოებით მომსახურებაზე, სს „საქენერგომონტთან“ გაფორმებული 2016 წლის 8 ივნისის Nდ-2 ხელშეკრულება, მუხლი 5.1 და მუხლი 9.3.

გარემოება

კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „საქენერგორემონტისგან“ მისაღები ჰქონდა წყალსაქაჩი ტუმბოებით მომსახურებისთვის 29,811 ლარი, რომელიც წარმოშობილია 2016 წლის 8 ივნისის Nდ-2 ხელშეკრულების ფარგლებში. კომპანიამ, სს „საქენერგორემონტის“ უფლებამონაცვლეს,¹¹⁷ 4,537 ლარის ოდენობის პირგასამტეხლო დაარიცხა¹¹⁸ 61 დღეზე, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების საფასურის გადახდის ვადაგადაცილება შეადგენს 5 წლამდე პერიოდს.

დასკვნა

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კონტრაქტორს ვალდებულების შეუსრულებლობისთვის 4,537 ლარის პირგასამტეხლო დაერიცხა 61 დღეზე, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვადაგადაცილება შეადგენდა 5 წლამდე პერიოდს.

2.5 კომპანიის მიერ გაწეული სერვისები - მორწყვა, ტექნიკური წყლის მიწოდება და ჰიდროელექტროსადგურებისთვის წყლის მიწოდება

2.5.1 მორწყვის გადასახადის ადმინისტრირების ნაკლოვანება

კრიტერიუმი: ბენეფიციარებმა, რომელთა საკუთრებაში არ არის მიწის ნაკვეთები, საირიგაციო მომსახურების საფასური უნდა გადაიხადონ წინასწარ. თუ მომსახურების საფასური არ იქნება გადახდილი მომსახურების მიღებამდე, მიმწოდებელს უფლება აქვს მომსახურების განაცხადი ჩათვალოს შეწყვეტილად და უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე. ასეთ შემთხვევაში წყლით სარგებლობის ფაქტი განიხილება სარწყავი წყლის დატაცებად, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით.¹¹⁹

გარემოება

ხელშეკრულებების¹²⁰ განაცხადებში არ არის განსაზღვრული მისაღები მომსახურების საფასურის გადახდის თარიღები. შერჩეული 28 ბენეფიციარიდან,¹²¹ 18-მა თანხები გადაიხადა მომსახურების მიწოდების შემდეგ და არა წინასწარ, რაც შეუსაბამოა დადგენილი წესის მოთხოვნებთან (იხ. ცხრილი N6). 17 ბენეფიციარის მიერ საფასურის გადახდის ვადაგადაცილებამ შეადგინა 9-დან 302 დღემდე, საშუალოდ, 125 დღე. ამასთანავე, აღსანიშნავია,

¹¹⁷ სს „ენერგონი“.

¹¹⁸ დარიცხვა განხორციელდა 2022 წლის 9 სექტემბერს.

¹¹⁹ მკს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის N41 ბრძანებით განსაზღვრული სამელიორაციო მომსახურებისა და ტბორებისთვის წყლის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

¹²⁰ აუდიტორული პროცედურებით შერჩეული ხელშეკრულებები (მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ არის ბენეფიციარების საკუთრებაში რეგისტრირებული საჯარო რეესტრში).

¹²¹ მომსახურების მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირები.

რომ ერთმა ბენეფიციარმა 5,550 ლარის ღირებულების მომსახურების საფასური საერთოდ არ გადაიხადა.

ცხრილი N6. ინფორმაცია ბენეფიციარების შესახებ, რომლებსაც წინასწარი გადახდები არ განუხორციელებიათ

ხელშეკრულების ნომერი	აბონენტის ნომერი	სახელშეკრულების ღირებულება (ლარი)	გადახდის ვადა ¹²²	გადახდის თარიღი	გადავიღებული დღეები
70031931	372396	6 600	01.06.2022	18.10.2022	139
70024157	371894	5 044	01.07.2022	24.11.2022	146
70021159	301133	5 475	16.04.2022	30.09.2022	167
70020499	301127	6 484	01.04.2022	17.10.2022	199
70020271	301154	5 711	01.04.2022	17.10.2022	199
IP202137197	14001017506	5 550	16.07.2021		არ გადაუხდია
IP202138950	227771444	8 720	01.10.2021	13.12.2021	73
IP202128507	426531602	4 501	16.06.2021	14.04.2022	302
IP202128697	426528171	6 600	01.07.2021	29.12.2021	181
IP202124525	12001068780	5 475	16.06.2021	01.12.2021	168
IP20218917	404487845	6 750	16.06.2021	27.11.2021	164
IP2021671	12001086081	5 711	01.05.2021	10.05.2021	9
IP2021239	12001081905	5 550	01.05.2021	08.06.2021	38
IP202141563	ALLA2021122	10 650	01.10.2021	09.12.2021	69
IP202131966	APLA20201648	4 950	01.10.2021	29.11.2021	59
IP202115559	APLA20201766	6 267	01.10.2021	09.12.2021	69
IP202115069	APLA20201639	6 150	01.10.2021	16.12.2021	76
IP20215469	APLA20204717	6 450	01.10.2021	02.12.2021	62

დასკვნა

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ბენეფიციარების სახელზე დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე საირიგაციო მომსახურების საფასურის გადახდა, შერჩეული 28 ერთეულიდან, 18 შემთხვევაში არ ხორციელდებოდა მომსახურების გაწევამდე, რამაც შესაძლებელია წარმოქმნას, მომსახურებასთან დაკავშირებული თანხების მიუღებლობის და/ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოქმნის რისკები.

2.5.2 ტექნიკური წყლის მიწოდების მონიტორინგი

კრიტერიუმი: კომპანიის ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კომპანიამ უნდა შეიმუშაოს სამელიორაციო სისტემიდან საწარმოო დანიშნულების წყლის მიწოდების სერვისის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომლის შემუშავებამდე მომსახურების საფასურის ქვედა ზღვარი განსაზღვრულია 0.05 ლარის ოდენობით 1 კუბ.მ-ზე.¹²³

გარემოება

კომპანიის ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს მიერ 2018 წლის 27 დეკემბრის მიღებული გადაწყვეტილების მიღებიდან მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდეგაც, კომპანიის მიერ არ შემუშავებულა სამელიორაციო სისტემიდან საწარმოო დანიშნულების წყლის მიწოდების სერვისის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია. წყლის მიწოდების საფასური დგინდება ინდივიდუალურად, გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებით და 2019

¹²² მომსახურების დაწყების თარიღი.

¹²³ შპს „საქართველოს მელიორაციის“ ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის N21 ოქმი.

წლიდან მინიმალური ოდენობა შეადგენს 0.05 ლარს 1 კუბ.მ-ზე. აღსანიშნავია, რომ დადგენილი მინიმალური საფასურის მიუხედავად, შპს „ჯორჯიან მანგანეზისათვის“ წყლის მიწოდების ღირებულება შეადგენს 0.042 ლარს 1 კუბ.მ-ზე. საფასური დადგენილია 2015 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული N135/15-01 ხელშეკრულებით.¹²⁴

2019 წლის 25 იანვარს შპს „ჯორჯიან მანგანეზს“ გაეგზავნა ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა განახლებულ ტარიფს, რაზეც კომპანიის მხრიდან მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, შპს „ჯორჯიან მანგანეზმა“ ხელი არ მოაწერა. აღნიშნულის მიუხედავად, კომპანიას არ შეუწყვეტია სერვისის მიწოდება და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომსახურება წარმოებდა 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი საფასურით. ტარიფებს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით, სხვაობა მისაღებ შემოსავლებს შორის, მხოლოდ 2021-2022 წლებში შეადგენს 108,856 ლარს.

დასკვნა

კომპანიას შემუშავებული არ აქვს სამელიორაციო სისტემიდან საწარმოო დანიშნულების წყლის მიწოდების სერვისის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია. ამასთანავე, ერთ შემთხვევაში წყლის მიწოდება ხორციელდება დადგენილ მინიმალურ საფასურზე ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

2.5.3 ჰიდროელექტროსადგურებისთვის წყლის მიწოდების განსხვავებული საფასურები

გარემოება

კრიტერიუმი: ჰიდროელექტროსადგურისთვის წყლის მიწოდების მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად.¹²⁵

ჰიდროელექტროსადგურების წყლით უზრუნველყოფის მომსახურების ხელშეკრულებებით, სხვადასხვა მომხმარებლებთან მიმართებით, დადგენილია განსხვავებული საფასურები.¹²⁶ კომპანიამ ვერ წარმოადგინა კონკრეტული გაანგარიშებები რის მიხედვითაც განისაზღვრება მომსახურების განსხვავებული ტარიფები. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია ჰიდროელექტროსადგურის მიერ სალტეზე მიწოდებული ელექტროენერგიის მიხედვით და ზოგიერთში – მთლიანი გამომუშავებული ელექტროენერგიის მიხედვით. აგრეთვე ფიქსირდება სხვა სახის განსხვავებებიც.¹²⁷

¹²⁴ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2021 წელს წყლის მიწოდების მომსახურებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 351 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს - 319 ათასი ლარი.

¹²⁵ შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 28 თებერვლის N18 ბრძანებით დამტკიცებული - ჰიდროელექტროსადგურებთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ინსტრუქციის პირველი პუნქტი.

¹²⁶ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2021 წელს ჰესებზე მიწოდებული წყლის რესურსებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,047 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს - 1,067 ათასი ლარი.

¹²⁷ მაგალითად: შპს „აგროენერჯისთან“ 2022 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით, მომსახურების საფასური განისაზღვრება ფორმულით: $X = (Y * 10\%) * Z$, სადაც X არის მომსახურების საფასური (დღგ-ის გარეშე), Y - ჰესის მიერ სალტეზე მიწოდებული ელექტროენერგია და Z - ზაფხულში 0,123 ლარი, ხოლო ზამთარში - 0,045 ლარი (ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელენერგიის ფასი 1 კვტ/სთ-ზე ლარი დღგ-ის გარეშე). შპს „ერა ჯორჯიასთან“ 2022 წლის 15 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით, მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: $X = (Y * 10\%) * Z$, სადაც X არის მომსახურების საფასური (დღგ-ის გარეშე), Y - ჰესის მიერ სალტეზე მიწოდებული ელექტროენერგია და Z - ზაფხულში 0,123 ლარი, ხოლო ზამთარში - 0,07 ლარი (ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტრო ენერგიის ფასი 1 კვტ/სთ-ზე ლარი დღგ-ის გარეშე).

დასკვნა

ჰიდროელექტროსადგურებისათვის წყლის მიწოდების მომსახურების ღირებულების დაანგარიშება, სხვადასხვა მომხმარებელთან მიმართებით, ხორციელდება განსხვავებული მიდგომებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიაში არ არის დამტკიცებული ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია, ვერ მივიღეთ რწმუნება განსხვავებული მეთოდების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

აუდიტორები**მამუკა გოგოხია**

წამყვანი აუდიტორი

რაინ ყუფინია


წამყვანი აუდიტორი

ალექსანდრე მღებრიშვილი

წამყვანი აუდიტორი

გიორგი ვასილევსკი

აუდიტორი

ხელმოწერა


დანართები

დანართი N1 სრული შემოსავლის ანგარიშგება¹²⁸

	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო შემოსავლები:		
ამონაგები	6 274 000	5 856 000
საოპერაციო ხარჯები:		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(19 277 000)	(17 178 000)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7 105 000)	(7 923 000)
კომუნალური ხარჯი	(6 795 000)	(6 790 000)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი	(3 646 000)	(3 585 000)
საწვავი	(3 502 000)	(2 312 000)
გამოყენებული მასალები	(1 352 000)	(1 416 000)
საექვო ვალუბის ხარჯი	(2 575 000)	(1 344 000)
საგადასახადო ხარჯი და საგადასახადო პროვიზენი	(1 022 000)	(739 000)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(254 000)	(398 000)
მონაცემთა ბაზის და სერვერზე ინფორმაციის განთავსების ხარჯი	(167 000)	(222 000)
მივლინების ხარჯი	(199 000)	(156 000)
დაცვა	(176 000)	(109 000)
კომუნიკაციის ხარჯი	(89 000)	(106 000)
სხვა ხარჯი	(790 000)	(469 000)
ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	1 094 000	3 997 000
სხვა მოგება (ნეტო)	218 000	19 199 000
მიმდინარე წლის ზარალი	(39 363 000)	(13 695 000)

დანართი N2 სხვა მოგება (ნეტო)¹²⁹

	2022 წელი	2021 წელი
სუბსიდიები	26 000 000	24 175 000
ჯარიმიდან მიღებული შემოსავალი	1 521 000	1 099 000
საიჯარო შემოსავალი	117 000	59 000
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი) ნეტო	(150 000)	(83 000)
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების შედეგი	(27 996 000)	(5 645 000)
მარაგების გაუფასურების რეზერვის კორექტირებით გამოწვეული მოგება/(ზარალი)	448 000	(897 000)
სხვა მოგება (ნეტო)	278 000	491 000
სულ:	218 000	19 199 000

¹²⁸ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.

¹²⁹ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.

დანართი N3
აუდიტის პერიოდში
მოქმედი
ხელშეკრულებები¹³⁰

შესყიდვის საშუალება	ერთეული			ლარი		
	სულ	შერჩეული	%	სულ	შერჩეული	%
გამარტივებული შესყიდვა	249	12	4.82	1,455,953.18	223,680.00	15.36
ელექტრონული ტენდერი	286	48	16.78	91,434,300.12	75,933,670.04	83.05
ელექტრონული პროცედურა	196	32	16.33	20,587,726.05	13,558,149.80	65.86
ეკმ	609	47	7.72	2,802,419.34	1,205,521.89	43.02
კონსოლიდირებული ტენდერები	76	-	-	8,167,950.77	-	-
კონტრაქტები სულ:	1416	139	9.82	124 448 349,45	90,921,021.73	73.06

დანართი N4
სააუდიტო პერიოდში
ჩაშლილი ტენდერები/
პროცედურები¹³¹

შედეგი	ჩაშლილი ტენდერები		შერჩევა			
	ერთეული	სავარაუდო ღირებულება	ერთეული	სავარაუდო ღირებულება	% ერთეული	% ლარი
შეწყდა	4	1,679,321	4	1,679,321	100	100
არ შედგა	204	135,134,380	19	58,004,550	9	43
დასრულდა უარყოფითი შედეგით	66	13,247,925	3	131,541	5	1
სულ:	274	150,061,626	26	59,815,412	9	40

¹³⁰ კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესყიდვების რეესტრის მიხედვით.

¹³¹ <http://procurement.gov.ge>-დან აღებული ინფორმაცია.

დანართი N5. ჩამოთვლილი ტენდერები

	ტენდერი I	ტენდერი II	ტენდერი III	ტენდერი IV	ტენდერი V	ღირებულების ზრდა	შედეგი
1.	NAT210003947	NAT230002815					ბოლო შედეგი
	4 859 800	9 488 941				4 327 137 ¹³²	
	02.03.2021	08.02.2023					
2.	NAT220014331	NAT220024004	NAT220028553	NAT230003414			ბოლო შედეგი
	2 420 053	3 030 521	3,030,521	3 666 930		1 246 877	
	21.07.2022	18.11.2022	28.12.2022	15.02.2023			
3.	NAT210021228	NAT220009586	NAT220014088	NAT220023990	NAT220028545		აღარ განხორციელდა
	3 782 960	3 993 776	3 881 311	4 627 694	4 627 694	844 734	
	10.11.2021	18.05.2022	20.07.2022	18.11.2022	28.12.2022		
4.	NAT220012350	NAT220024002	NAT220028535	NAT230003455			ბოლო შედეგი
	4 344 084	4 704 729	4 704 729	5 410 438		1 066 354	
	24.06.2022	18.11.2022	28.12.2022	15.02.2023			
5.	NAT220016902	NAT220024007					ბოლო შედეგი
	5 122 749	6 603 391				1 480 642	
	19.08.2022	18.11.2022					
6.	NAT210020429	NAT220006288	NAT220013738	NAT220025366	NAT230003420		ბოლო შედეგი
	3 373 342	3 925 919	4 525 125	4 406 267	4 979 081	1 605 739	
	26.10.2021	30.03.2022	14.07.2022	01.12.2022	15.02.2023		
7.	NAT220012743	NAT220023324					ბოლო შედეგი
	4 935 191	6 101 757				1 166 566	
	30.06.2022	11.11.2022					

¹³² გადამუშავებული პროექტის მიხედვით, 904,205 ლარის სამუშაოები, რომლებიც განფასებულია პირველადი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, ჩანაცვლებულია 1,206,209 ლარად განფასებული სამუშაოებით. კერძოდ, პირველადი პროექტის ხარჯთაღრიცხვა N5-7-ით და N5-8-ით გათვალისწინებული 244,504 ლარის ღირებულების სამუშაოები მთლიანად შეცვლილია 194,732 ლარის ღირებულების სხვა სამუშაოებით. ხარჯთაღრიცხვა N5-1-ით (პუნქტები: 7 და 13, 8 და 14, 19 და 20, 21 და 22, 29 და 30, 31 და 32, 37) დადგენილი 592,941 ლარის სამუშაოები, ნაწილობრივ შეცვლილია 1,011,477 ლარად განფასებული სამუშაოებით. მთლიანად ამოღებულია ხარჯთაღრიცხვები NN 5-9, 5-10 და 5-11-ით გაწერილი 66,760 ლარის სამუშაოები, ანუ სამუშაოები გაზრდილია 302,004 ლარით (1,206,209 ლარი - 904,205 ლარი). შესაბამისად, 9,488,941 ლარი - 4,859,800 ლარი - 302,004 ლარი = 4,327,137 ლარი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE